UN JOINT PROGRAMME
FOR GENDER EQUALITY

2022 წელს მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის

საქმეთა ანალიზი

მეთოდოლოგიის ავტორი: თამარ დეკანოსიძე

სისხლის სამართლის საქმეების და სტატისტიკის ანალიზზე მუშაობდნენ:
ეკა მამალაძე და ნინო იაკობიძე

წინამდებარე პუბლიკაცია მოამზადა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, გაეროს ერთობლივი პროგრამის, „გენდერული თანასწორობისათვის'', ფარგლებში, შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და ის, შესაძლოა, არ ასახავდეს შვედეთისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ხედვას.

სარჩევი

შესავალი **4**

1. კვლევის მეთოდოლოგია **6**

2. ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის სტატისტიკა **9**

3. ფემიციდის გამოვლენილი კატეგორიები და ტიპები **14**

4. გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები **16**

4.1. გენდერული მოტივის დადგენა 16

4.2. მკვლელობის მცდელობა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება 19

4.3. ფემიციდით დაზარალებული ბავშვები 21

4.4. გამოძიების ეტაპზე გამოვლენილი სხვა ხარვეზები 23

5. ხარვეზები სასამართლო განხილვისას **27**

5.1. სასამართლოს მიერ გენდერის ნიშნის განმარტება და დასაბუთება 27

5.2. სასამართლოს მიერ რისკების არასათანადოდ შეფასება 28

5.3. სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლის გამოყენება და სასჯელის დამძიმება გენდერის ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე 32

6. გამამართლებელი განაჩენები - დაზარალებულის სათანადო მხარდაჭერის მნიშვნელობა **34**

დასკვნა **36**

რეკომენდაციები **37**

დანართი 1: საქართველოს გენერალური პროკურატურის სტატისტიკა **39**

შესავალი

ქალების და გოგოების მიმართ ძალადობის, ისევე როგორც ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურესი ფორმის - ფემიციდის პრევენცია საქართველოში კვლავ მწვავე პრობლემად დგას.

საქართველოს სახალხო დამცველის ფემიციდის მონიტორინგი აჩვენებს, რომ გენდერული იერარქიები და ქალის როლის შესახებ საზოგადოებრივი შეხედულებები კვლავ რჩება ფემიციდის გამომწვევ ძირეულ პრობლემად. ამასთანავე, წლების განმავლობაში განხორციელებული დაკვირვებით, ფემიციდის დანაშაულის ჩამდენები, უმეტესად უმაღლესი განათლების არმქონე, უმუშევარი პირები არიან, რაც ადასტურებს პრობლემის კომპლექსურ ხასიათს და მის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისათვის ინტერსექტორული თანამშრომლობის და ყოვლისმომცველი მიდგომის აუცილებლობას.

მისასალმებელია საქართველოს პროკურატურის საინფორმაციო კამპანია „არა ფემიციდს", რომლის ფარგლებშიც პროკურატურას შეხვედრებისა და დისკუსიების გზით წვლილი შეაქვს საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებაში. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ კამპანია იყოს არა ფრაგმენტული, არამედ სახელმწიფოს თანმიმდევრული ღონისძიებების შემადგენელი ნაწილი.

პრევენციული ღონისძიების გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია მონაცემების სათანადოდ შეგროვება, თუმცა, სამწუხაროდ, ფემიციდის სტატისტიკის შეგროვების **ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავება** წლების განმავლობაში პრობლემად რჩება. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია, რომ გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით, სახელმწიფო უწყებებს შორის მიმდინარეობს მუშაობა, რათა პრაქტიკაში დაინერგოს გაეროს სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიური ჩარჩო დოკუმენტი ქალების და გოგოების გენდერული მკვლელობების (ფემიციდი/ფემინიციდი) შესახებ.[1] აღნიშნული შესაძლებელს გახდის ფემიციდის შემთხვევებზე სრულყოფილი სტატისტიკის შეგროვებას და თითოეული შემთხვევის გაანალიზებას.

წინამდებარე ანგარიშში სახალხო დამცველის აპარატმა 2022 წელს მომხდარი 29 ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის შემთხვევა გამოკვეთა და დეტალურად გააანალიზა. დამატებით გაანალიზდა შესაძლო ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის საქმეებზე დამდგარი გამამართლებელი განაჩენები. შედეგად, ჩანს, რომ მიღწეულ პროგრესთან ერთად, მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების კუთხით, არაერთი გამოწვევა რჩება.

მონიტორინგის შედეგად იკვეთება, რომ გაიზარდა ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეებზე გენდერის ნიშნის გამოკვეთის მაჩვენებელი, თუმცა, რიგ საქმეებში, როგორც გამოძიების, ისე სასამართლო ეტაპზე, კვლავ პრობლემურია გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაულის სახელდება. კვლავ ვლინდება სასამართლო ეტაპზე რისკების არასათანადო შეფასების შემთხვევები, რამაც ვერ უზრუნველყო ძალადობის უკიდურესი ფორმის ფემიციდის პრევენცია.

1 Statistical framework for measuring the gender-related killing of women and girls (also referred to as femicide/feminicide") ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.unodc.org/documents/data-and-analysis/statistics/Statistical_framework_femicide_2022.pdf

2022 წელს განსაკუთრებულ პრობლემად გამოიკვეთა, რომ დაზარალებული ქალები მათ მიმართ ჩადენილი ძალადობის უკიდურესი ფორმების შემთხვევაშიც კი, უარს ამბობდნენ ოჯახის წევრების წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. ამან კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩინა ფემიციდის მცდელობის საქმეებში მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორის პრიორიტეტულად ჩართვის და დაზარალებული ქალების სათანადო ფსიქოემოციური მხარდაჭერის აუცილებლობა.

ვიმედოვნებთ, ანგარიშში წარმოდგენილ მიგნებებსა და რეკომენდაციებს გაითვალისწინებენ ფემიციდის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.[2]

2 მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2023 წელს შემუშავდა სახელმძღვანელო მითითება „ფემიციდის სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ“, რომლის მიზანია ფემიციდისა და ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ფაქტებზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების ეფექტიანი გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის თანხვედრა საერთაშორისო სტანდარტებთან.

1. კვლევის მეთოდოლოგია

გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) მონიტორინგის მეთოდოლოგიური ჩარჩო სახალხო დამცველის აპარატში შემუშავდა, და ის ასევე იქნა გამოყენებული წინამდებარე ანგარიშის მომზადებისას.[3]

კვლევის მიზნებისათვის, საქართველოში არსებული კონტექსტიდან გამომდინარე და ლათინოამერიკულ სახელმძღვანელო ოქმზე[4] დაყრდნობით, სახალხო დამცველი იყენებს ფემიციდის შემდეგ განმარტებას:

ფემიციდი არის გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა, ანუ ქალის მკვლელობა, რომლის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი დაკავშირებულია ქალის მიმართ გენდერულ ძალადობასთან, დისკრიმინაციასთან ან ქალის დაქვემდებარებულ როლთან, რაც გამოიხატება ქალზე უფლებების ქონის სურვილით, ქალთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით, ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებით, მისი ქცევის კონტროლით, ან მის გენდერთან დაკავშირებული სხვა მიზეზით, ასევე, ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანა ზემოაღნიშნული მიზეზებით.

ქალის მკვლელობის ფაქტი ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ჩადენილია ფემიციდი. გენდერთან დაკავშირებული ქალთა მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმის მიხედვით, ფემიციდია, როდესაც მკვლელობა ან ქალის გარდაცვალება უკავშირდება ქალის გენდერს, კერძოდ, უნდა არსებობდეს გარკვეული ნიშნები, რომ მკვლელობის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი დაკავშირებულია გენდერულ ძალადობასთან ან/და დისკრიმინაციასთან.[5]

რაც შეეხება დანაშაულის მოტივს, სასამართლო საქმეების ანალიზისას, წინამდებარე კვლევისათვის მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული ფემიციდის მოტივის ნიშნები, კერძოდ:

- ✔ მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციული ან სექსისტური დამოკიდებულება;
- ✔ მესაკუთრული დამოკიდებულება;
- ✔ ქცევის კონტროლი;
- ✔ სტერეოტიპული გენდერული როლების მორჩილების მოთხოვნა.

ფემიციდის 2022 წლის საქმეთა მონიტორინგის ჩატარების მიზნით, კვლევა სამ ეტაპად განხორციელდა. კვლევის **პირველი ეტაპი** გულისხმობდა ქალის მკვლელობის, მკვლელობის მცდელობის და თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინის-

3 ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში: „ქალთა გენდერული მკვლელობები“, 2016 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი. საქართველოს სახალხო დამცველი, 2017.

4 Latin American Model Protocol for the Investigation of Genderrelated Killings of Women (femicide/feminicide) („ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმი“, შემდგომში: ლათინოამერიკული სახელმძღვანელო ოქმი)

5 Latin American Model Protocol for the Investigation of Genderrelated Killings of Women (femicide/feminicide) („ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმი“, შემდგომში: ლათინოამერიკული სახელმძღვანელო ოქმი), ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი ლათინურ ამერიკაში, ISBN 9789962555902, გვ. 1314.

ტროდან და გენერალური პროკურატურიდან, ხოლო განაჩენების გამოთხოვას - საერთო სასამართლოებიდან.[6] საანგარიშო პერიოდში საქმეების მაქსიმალურად დაფარვის მიზნით, საერთო სასამართლოებიდან, გასული წლებისგან განსხვავებით, ინფორმაციის გამოთხოვა ორ ნაწილად განხორციელდა. კერძოდ, თავდაპირველად ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა 2023 წლის მაისში, ხოლო შემდგომ, 2023 წლის სექტემბერში. შედეგად, სახალხო დამცველის აპარატს მოეწოდა 2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით დასრულებულ სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენები, რამაც გაზარდა გასაანალიზებელ საქმეთა რაოდენობა.

კვლევის **მეორე ეტაპზე**, ფემიციდის ან ფემიციდის მცდელობების გამოსავლენად, გაანალიზდა საქალაქო/რაიონული და სააპელაციო სასამართლოებიდან მიღებული განაჩენები/განჩინებები.

კვლევის **მესამე ეტაპზე** საქალაქო/რაიონული, სააპელაციო და უზენაესი ინსტანციის სასამართლოდან გამოთხოვილ იქნა საქმის სრული მასალები მეთოდოლოგიის მიხედვით შერჩეულ ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეთა განაჩენებზე.

შედეგად, სახალხო დამცველის აპარატს, 2022 წელს მომხდარ დანაშაულებთან დაკავშირებით მოეწოდა 58 საქმის განაჩენი. აღნიშნული საქმეებიდან სახალხო დამცველის აპარატი სისხლის სამართლის საქმის სრულ მასალებს გაეცნო 44 საქმეზე.

ასევე, სახალხო დამცველის აპარატს საერთო სასამართლოებიდან მოეწოდა 5 განჩინება სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.[7] ასევე, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოძიების და დევნის შეწყვეტის შესახებ 2 დადგენილება, რომელიც ასევე გაანალიზდა ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის გამოსავლენად.

---

6 ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლითაც შესაძლებელი იყო ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის საქმეების დაკვალიფიცირება, კერძოდ: განზრახ მკვლელობა (სსკ-ის მუხლი 108), განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (სსკ-ის მუხლი 109), განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსკ-ის მუხლი 111), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (სსკ-ის მუხლი 117), თვითმკვლელობამდე მიყვანა (სსკ-ის მუხლი 115), სსკის 19, 108-ე და 19,109-ე მუხლი (დანაშაულის მცდელობა). ასევე, 118.3 მუხლი, კერძოდ, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. ასევე, სსკის 121-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში) და სსკ-ის 122-ე (ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით) მუხლებით დაკვალიფიცირებული საქმეები. ასევე, ქალის გაუპატიურება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის მუხლი 137.4.ბ), სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის მუხლი 138.3.გ), უკანონო აბორტი, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის მუხლი 133.3), სტერილიზაცია თანხმობის გარეშე, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (სსკ-ის მუხლი 133^1 .3), ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (სსკ-ის მუხლი 133^2 .3), ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკის მუხლი 143^1 .4.ბ), წამება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკის მუხლი 144^1 .3.გ).

7 მოწოდებული 5 განჩინებიდან 4 შემთხვევაში დევნის შეწყვეტის მიზეზი იყო ბრალდებულის შეურაცხადობა, ხოლო 1 შემთხვევაში - ბრალდებულის გარდაცვალება (ბრალდებულის გარდაცვალების შემთხვევა არ უკავშირდებოდა მკვლელობას, არამედ ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას). სახალხო დამცველი სიფრთხილით ეკიდება იმ შემთხვევების ფემიციდად ან ფემიციდის მცდელობად დაკვალიფიცირებას, რომლებიც პირებმა ჩაიდინეს შეურაცხადობის მდგომარეობაში. შესაბამისად, ასეთი საქმეები არ აღირიცხა ფემიციდის/ფემიციდის სტატისტიკაში და არ არის განხილული ანგარიშში.

საერთო ჯამში კვლევისთვის რელევანტურად იდენტიფიცირდა 29 საქმე.[8] ანგარიშში არ არის ასახული ის საქმეები, რომლებიც მეთოდოლოგიის მიხედვით, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის თარიღის გამო ვერ ხვდებოდა საანგარიშო პერიოდში, ასევე არ არის შეტანილი საქმეები, სადაც ფემიციდის ნიშნები არ გამოიკვეთა.[9]

დამატებით, ხარვეზების გამოვლენის მიზნით, ანგარიშში განხილულია შესაძლო ფემიციდის მცდელობის ის საქმეები, სადაც გამამართლებელი განაჩენი დადგა.[10]

8 აღსანიშნავია, რომ 1 ქალი მოკლა 2-მა პირმა და 1 ქალის მკვლელობის საქმეზე წარმოდგენილი იყო 2 სისხლის სამართლის საქმე და 2 განაჩენი. შესაბამისად, გაანალიზდა 30 სისხლის სამართლის საქმე 29 დაზარალებულით.

9 მაგალითად, ფემიციდის/ფემიციდის მცდელობად არ იქნა მიჩნეული თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული ერთ-ერთი საქმე (№1/1/3392-22), სადაც ქალს გაშველების პროცესში მოხვდა დანა და მისთვის დაზიანებების მიყენება განზრახული არ ყოფილა; ასევე, ანგარიშში არ იქნა შეტანილი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმე, სადაც მამას ბიჭი შვილის მოკვლა ჰქონდა განზრახული, თუმცა გასროლის შედეგად ტყვია გოგო შვილს მოახვედრა და არ იკვეთებოდა გოგო შვილის მკვლელობის განზრახვა გენდერულ მოტივზე დაყრდნობით (№1/1044-22); კიდევ ერთი საქმე, რომელიც არ იქნა შეტანილი ანგარიშში, ეხებოდა მეზობლებს შორის ნათხოვარი თოხის დაგვიანებით დაბრუნების გამო დაპირისპირებას, რაც ქალის მკვლელობით დასრულდა (თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/127-22); ანგარიშში ვერ მოხვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერგანხილული საქმე, როდესაც ნათესავმა ქალი ანგარების მოტივით მოკლა (საქმე №1/3779-22); საქმის ანალიზის შემდეგ მონიტორინგის ანგარიშში არ იქნა შეტანილი თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმე, სადაც მსჯავრდებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან უმისამართოდ ისროდა და ტყვია, შეიძლებოდა ადგილზე მყოფ ნებისმიერ პირს მოხვედროდა (№1/6857-22). მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, ანგარიშში ასევე არ მოხვდა საქმე, რომელიც 16 წლამდე ასაკს მიუღწეველ დაზარალებულს ეხებოდა და საქმეში ცალსახად არ იკვეთებოდა გენდერული მოტივაცია (მცხეთის რაიონული სასამართლოს საქმე №1-26/23).

10 საქმეები, რომლებზეც გამამართლებელი განაჩენი დადგა, ფემიციდის/ფემიციდის სტატისტიკაში არ აღირიცხა. ამ საქმეებში გამოვლენილ ხარვეზებს ცალკე თავში განვიხილავთ.

2. ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის სტატისტიკა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის 29 საქმე გააანალიზა. გაანალიზებული 29 საქმიდან 15 საქმე ეხებოდა ფემიციდს, ხოლო 14 საქმე - ფემიციდის მცდელობას.[11]

დიაგრამა №1. ფემიციდის ჩამდენი პირები



დიაგრამა №2. ფემიციდის მცდელობის ჩამდენი პირები



სტატისტიკის თანახმად, ტენდენცია უცვლელია და ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობას ყველაზე ხშირად ქმრები/ყოფილი ქმრები ჩადიან. საანგარიშო წელს ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის ჩადენის მოტივად „შურისძიება“ და „ეჭვიანობა“ სახელდება. ასევე, სასამართლოები ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის ჩადენის მოტივად „გენდერულ ნიშანსაც“ უთითებენ.[12]

11 სტატისტიკაში შეტანილია 1 სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც გამოძიება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემი პირის გარდაცვალების გამო შეწყდა; ასევე, კიდევ 1 საქმე, რომელზეც სისხლის-სამართლებრივი დევნა ბრალდებულის გარდაცვალების გამო შეწყდა.

12 ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის ჩადენის მოტივის სტატისტიკა დათვლილია განაჩენებში გამოკვეთილი მოტივების მიხედვით.

დიაგრამა №3: ფემიციდის ჩადენის მოტივი



დიაგრამა №4: ფემიციდის მცდელობის ჩადენის მოტივი



ფემიციდის სპეციფიკის გათვალისწინებით, ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობა ძირითად შემთხვევაში სახლშია ჩადენილი.

დიაგრამა №5: ფემიციდის ჩადენის ადგილი



დიაგრამა N6: ფემიციდის მცდელობის ჩადენის ადგილი



საანგარიშო პერიოდში **ფემიციდის ჩადენის იარაღი** 7 შემთხვევაში დანა იყო, 2 შემთხვევაში - თოფი, 2 შემთხვევაში - ბლაგვი საგანი, 1 შემთხვევაში - ჩაქუჩი, 1 შემთხვევაში - ბენზინი, 1 შემთხვევაში - ხელებით დახრჩობა, 1 შემთხვევაში - ფიზიკური ანგარიშსწორება. რაც შეეხება **ფემიციდის მცდელობის ჩადენის იარაღს**, 5 შემთხვევაში - დანა, 2 შემთხვევაში - ფიზიკური ანგარიშსწორება, 1 შემთხვევაში - მედიკამენტი, 1 შემთხვევაში - სამართებელი, 1 შემთხვევაში - ნაჯახი და დანა, 1 შემთხვევაში - სხვადასხვა საგანი: ხის სკამი, ბლაგვი საგანი, 1 შემთხვევაში - ყელსახვევი, 1 შემთხვევაში - შარვალი, 1 შემთხვევაში - ხელყუმბარა.

საანგარიშო პერიოდში ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის ჩადენის დროს მოძალადეები უმეტეს შემთხვევაში ფხიზელ მდგომარეობაში იყვნენ.[13] სტატისტიკის ანალიზის თანახმად, ტენდენცია უცვლელია და ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის ჩამდენი პირები უმრავლეს შემთხვევაში საშუალო განათლების მქონე და უმუშევარი ან დაბალი შემოსავლის მქონე პირები არიან.[14]

ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის ჩამდენ პირთა ნასამართლობა ასე გამოიყურება:

დიაგრამა №7: ფემიციდის ჩამდენი პირების ნასამართლობა



დიაგრამა №8: ფემიციდის მცდელობის ჩამდენი პირების ნასამართლობა



13 ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის ჩადენის დროს, 22 შემთხვევაში პირი ფხიზელ მდგომარეობაში იყო, ხოლო 8 შემთხვევაში მოძალადე არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

14 **განათლება:** ფემიციდის ჩამდენი პირებიდან საშუალო განათლება 11 პირს ჰქონდა მიღებული, არასრული საშუალო - 1 პირს, ხოლო უმაღლესი განათლება - 4 პირს. რაც შეეხება ფემიციდის მცდელობის ჩამდენ პირებს, საშუალო განათლება ჰქონდა 11 პირს, არასრული საშუალო - 2 პირს, ხოლო უმაღლესი განათლება - 1 პირს.

დასაქმება: ფემიციდის ჩამდენი პირებიდან უმუშევარი იყო 12 პირი, 3 - დასაქმებული, ხოლო 1 თვითდასაქმებული. რაც შეეხება ფემიციდის მცდელობის ჩამდენ პირებს, 12 პირი იყო უმუშევარი, 1 პირი იყო მწყემსი და 1 პირი - ყასაბი.

გაანალიზებული საქმეებიდან 9 ბრალდებული და 9 დაზარალებული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები იყვნენ.

ფემიციდისათვის დანიშნული ყველაზე მკაცრი სასჯელი იყო უვადო თავისუფლების აღკვეთა[15], ყველაზე მსუბუქი - თავისუფლების აღკვეთა ათი წლის და 9 თვის ვადით.[16] ფემიციდის მცდელობისათვის დანიშნული ყველაზე მკაცრი სასჯელი იყო თავისუფლების აღკვეთა 19 წლის ვადით[17], ხოლო ყველაზე მსუბუქი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა[18], რაც ბრალდებულს ჩაეთვალა პირობითად. ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეების კვალიფიკაცია ასეთია:

ფემიციდის საქმეები:

საქმის კვალიფიკაცია:	**საქმეების რაოდენობა**
სსკ-ის 109-ე მუხლის „მ'' ქვეპუნქტი (განზრახ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით)	2
სსკ-ის 11^1 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა)	1
სსკ-ის 11^1 109-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტი (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა)	3
სსკ-ს 11^1 109-ე მუხლის „თ'', „კ'' და „მ'' პუნქტებით - განზრახ მკვლელობა გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით	3
სსკ-ის 109-ე მუხლის „ნ'' ქვეპუნქტით - განზრახ მკვლელობა ანგარებით	1
სსკ-ის 108-ე მუხლი - განზრახ მკვლელობა	1
სსკ-ს 11^1 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ^1'' და „ვ'' ქვეპუნქტები და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ'' ქვეპუნქტი (განზრახ მკვლელობა, გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ და განსაკუთრებული სისასტიკით)	1
სსკ-ს 11^1 109-ე მუხლის „თ'', „ი'' „კ'' „მ'' ქვეპუნქტები (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი გენდერის ნიშნით, ჯგუფურად, ოჯახის წევრის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით)	1
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „თ“, „კ“, „მ“ და „პ“ ქვეპუნქტები (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით, არაერთგზის)	1
11^1 117-ე მუხლის მე-4 ნაწილი (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ოჯახის წევრის მიმართ, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა)	1

15 სიღნაღის რაიონული სასამართლოს საქმე №1/6-23.

16 თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/395-22.

17 ახალციხის რაიონული სასამართლოს საქმე №1/217-22.

18 თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმე №1ბ/757-22.

ფემიციდის მცდელობის საქმეები:

საქმის კვალიფიკაცია	**საქმეების რაოდენობა**
სსკ-ის 11[1] 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (ოჯახის წევრის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა გენდერის ნიშნით)	3
სსკ-ის 11[1] 115-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ოჯახის წევრის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა)	1
სსკ-ის 11[1] 19 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის დ[1] და „ვ'' ქვეპუნქტები, მე-3 ნაწილის „ბ'' და „ე'' ქვეპუნქტები (განზრახ მკვლელობის მცდელობა, გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით, არაერთგზის)	1
სსკ-ის 11[1] 19 109 მუხლის „კ“, „მ“ და „თ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით)	2
სსკ-ის 19 109-ე მუხლის „ე'', „თ'' და „კ'' ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ, გენდერის ნიშნით და ოჯახის წევრის მიმართ)	1
სსკ-ის 11[1] 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ)	2
სსკ-ის 11[1] 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ „კ'' და „ჟ'' ქვეპუნქტები (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ, გენდერის ნიშნით, არაერთგზის)	1
სსკ-ს 19 109 მუხლის „ბ'' და „თ'' ქვეპუნქტი (განზრახ მკვლელობის მცდელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ჩადენილი გენდერის ნიშნით)	1
სსკ-ის 11[1] 19 109-ე მუხლის „თ'' „კ'' ქვეპუნქტები (განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ, გენდერის ნიშნით)	1
სსკ-ის 11[1] 19 109 „თ'', „კ'' და „ლ'' ქვეპუნქტები (განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში, გენდერის ნიშნით, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ, ორი პირის მიმართ)	1

3. ფემიციდის გამოვლენილი კატეგორიები და ტიპები

წინამდებარე კვლევაში გაანალიზებულ სისხლის სამართლის საქმეებში მკვლელობის/მკვლელობის მცდელობის ჩადენის მოტივი დაკავშირებული იყო გენდერულ ძალადობასთან ან/და დისკრიმინაციასთან. მათ შორის აღსანიშნავია ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის შემდეგი კატეგორიები და ტიპები:

საანგარიშო პერიოდში ქმრის მიერ ცოლის მკვლელობის მიზეზი გახდა ეჭვიანობა.[19] ეჭვიანობა სხვა კაცთან ურთიერთობის გამო, იმის მიუხედავად, ეს რეალური კავშირი იყო თუ წარმოსახვითი, კვლავ რჩებოდა ქალის მკვლელობის მოტივად.[20] ქმრის მიერ ცოლის მკვლელობის/მკვლელობის მცდელობის მიზეზი გახდა დაშორება და შერიგებასა და შემდგომ თანაცხოვრებაზე უარი.[21] საანგარიშო პერიოდში ქმარმა ცოლი იმიტომ მოკლა, რომ ქალი ბაზრობაზე შვილებისთვის ტანსაცმლის საყიდლად ისე გავიდა სახლიდან, რომ მას არ შეატყობინა.[22] ქმარმა ცოლის მკვლელობა სცადა დაუმორჩილებლობისთვის, კერძოდ, იმის გამო, რომ ქმრის ნათქვამის მიუხედავად, ურთიერთობის გასარკვევად მასთან სახლში არ მივიდა.[23] კიდევ ერთ საქმეში ბრალდებულმა ყოფილი მეუღლე განსაკუთრებული სისასტიკით იმიტომ მოკლა, რომ მას საქმრო ჰყავდა და დაოჯახებას აპირებდა, ის კი, მიუხედავად დაშორებისა, ქალს არ მისცემდა უფლებას სხვა კაცისთვის დაეკავშირებინა ცხოვრება, რადგან თავს მაინც მის ქმრად მიიჩნევდა.[24] პარტნიორმა ქალი ბეტონის ნატეხითა და სხვადასხვა საგნის გამოყენებით ნაგავსაყრელზე იმიტომ მოკლა, რომ მან სოციალურ ქსელში მისი სურათი ატვირთა და ახალ მეუღლედ მონიშნა. ბრალდებულის განმარტებით, ეს ფოტო ნახეს მისმა მეუღლემ და ახლობლებმა, რის გამოც პრობლემები შეექმნა და შურისძიება გადაწყვიტა.[25] ახალგაზრდა ქალს მეუღლემ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება მიაყენა იმის გამო, რომ ბიძაშვილთან მის მიერვე მოთხოვნილი ნივთის მოსატანად არ გაეგზავნა.[26]

შვილები იმიტომ შეეცადნენ დედის სიცოცხლის მოსპობას, რომ დედის ცხოვრების წესი არ შეესაბამებოდა კულტურულ, ტრადიციულ ნორმებს და ხელყოფდა ოჯახის ღირსებას.[27] კიდევ ერთ საქმეში შვილმა დედას დანის მუცელში ჩარტყმით სიცოცხლისთვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა იმაზე გაბრაზებულმა, რომ მან ოჯახში ძალადობის ბრალდების საქმეზე მამამისის წინააღმდეგ ჩვენება მისცა.[28]

19 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4216-22.

20 თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმე №1ბ/757-22.

21 ოზურგეთის რაიონული სასამართლოს საქმე №356/22 და ბოლნისის რაიონული სასამართლოს საქმე №1/368-22.

22 სიღნაღის რაიონული სასამართლოს საქმე №1/6-23.

23 ახალციხის რაიონული სასამართლოს საქმე №1/217-22.

24 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1011-2022.

25 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/7099-22.

26 სიღნაღის რაიონული სასამართლოს საქმე №1/7-23.

27 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4867-22 და თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4681-22.

28 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/914-22.

მამამთილმა რძალი დანით გენდერული სტერეოტიპების გამო დაჭრა. ის ქალს მუშაობას და ავტომანქანის მართვას უკრძალავდა და ეუბნებოდა, რომ ქალი იყო და, შესაბამისად, სახლში საოჯახო საქმეებისთვის უნდა მიეხედა.[29] მამამთილის მხრიდან ფემიციდის მიზეზი გახდა ისიც, რომ რძალი, თუ ცოლისთვის და მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას არ შეწყვეტდა, პოლიციისთვის მიმართვით დაემუქრა.[30]

საანგარიშო პერიოდში ქალები თვითმკვლელობას ცდილობდნენ, რადგან ქმრები, წლების განმავლობაში, სტერეოტიპული შეხედულებების საფუძველზე, სისტემატურად აყენებდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას და დამამცირებელი და ღირსების შემლახავი სიტყვებით მიმართავდნენ.[31]

საანგარიშო პერიოდში გვხვდება ტრანსფობიური ფემიციდის შემთხვევაც[32], როდესაც ქალი იმიტომ მოკლეს, რომ ტრანსგენდერი ეგონათ, ხოლო ერთ საქმეში კაცმა სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა სექსუალური მომსახურებისთვის მასთან სახლში მისულ სექს-მუშაკს.[33]

29 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1258-22.

30 ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-67/23.

31 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/6588-22, სიღნაღის რაიონული სასამართლოს საქმე №1/170-20 და თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმე №1ბ/757-22.

32 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/7108-22.

33 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/6278-22.

4. გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

4.1. გენდერული მოტივის დადგენა

ფემიციდის, ისევე როგორც სიძულვილით მოტივირებული ყველა სხვა დანაშაულის გამოძიებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოტივის გამოვლენას. ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფაქტი უნდა შეისწავლებოდეს გენდერული პერსპექტივით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად: „როდესაც ხდება ძალადობრივი ქმედებების, განსაკუთრებით სიცოცხლის მოსპობის საქმეების გამოძიება, სახელმწიფოს ეკისრება დამატებითი ვალდებულება, გადადგას ნაბიჯები იმის გასარკვევად, სიძულვილის მოტივმა ხომ არ ითამაშა გარკვეული როლი ამ დანაშაულის ჩადენაში. ამ გარემოების გამოკვლევისგან თავის შეკავება და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე ისევე რეაგირება, როგორც ეს იმ დანაშაულის შემთხვევაში ხდება, რომელსაც ამგვარი მოტივი არ გააჩნია, ნიშნავს თვალის დახუჭვას ქმედების სპეციფიკურ ბუნებაზე, რაც განსაკუთრებით ანადგურებს ადამიანის ძირითად უფლებებს.[34]

აღსანიშნავია, რომ გაანალიზებულ საქმეთა მნიშვნელოვან ნაწილში გამოძიებამ შეძლო გენდერული მოტივის გამოკვეთა და საქმისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება. კერძოდ, ბრალდების შესახებ 30 დადგენილებიდან 20 შემთხვევაში ბრალის შესახებ დადგენილებებში მითითებულია დანაშაულის ჩადენის გენდერული მოტივის შესახებ. თუმცა გვხვდება პრობლემური სისხლის სამართლის საქმეები, სადაც გამოძიებამ ან ვიწროდ განმარტა გენდერის ნიშანი, ან საერთოდ არ შეისწავლა საქმე გენდერულ ჭრილში. რიგ საქმეებში კი, მოტივის დასადგენად საკმარისი ინფორმაციის მიუხედავად, პროკურატურას დანაშაული გენდერულად მოტივირებულად არ მიუჩნევია.

მათ შორის, პროკურატურის მიერ ქმედების სწორი კვალიფიკაციის პრობლემა გამოიკვეთა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განხილულ საქმეში,[35] სადაც ცალსახად ჩანდა, რომ დაზარალებულმა თავის მოკვლა გენდერული ნიშნით მეუღლის მხრიდან მისი პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირების გამო სცადა. მოცემულ საქმეში ბრალდებული ეჭვიანობის გამო სისტემატურად შეურაცხყოფდა და ამცირებდა მეუღლეს - უწმაწური სიტყვებით მიმართავდა და სამსახურში არ უშვებდა. აღნიშნულ საქმეზე პროკურატურას გენდერის ნიშანი არ გამოუკვეთავს, ბრალდებულის ქმედება მან ზოგადი მუხლით, სისხლის სამართლის კოდექსის 11[1] და 115-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დააკვალიფიცირა. როდესაც დაზარალებულის მიმართ დანაშაულებრივი ქმედება გენდერული მოტივით ხორციელდება, მისი კვალიფიკაცია უნდა მოხდეს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და არა ამავე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ზოგადი დანაშაულისთვის ადგენს პასუხისმგებლობას.

კვალიფიკაციის პრობლემა ასევე გამოიკვეთა თელავის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეშიც.[36] აღნიშნულ საქმეში ბრალდებულის ჩვენების თანახმად, ყოფილი მეუღლის მოკვლის ერთ-ერთი მიზეზი ეჭვიანობა იყო. თანაცხოვრების პერიოდში ის ფიქრობდა, რომ

34 CASE OF NACHOVA AND OTHERS v. BULGARIA paragraph 160 http://hudoc.echr.coe.int/eng?i=00169630

35 თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმე №1/ბ-757-22.

36 თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/77-22.

მეუღლე ღალატობდა, რადგან სამსახურიდან სახლში დაბრუნებული, აბაზანაში შედიოდა და ბანაობდა, რაც საეჭვოდ ეჩვენებოდა. საქმეში ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულება გამოიხატა ბრალდებულის მიერ პოლიციისთვის ნათქვამ სიტყვებშიც - „ჩემი ცოლია და რასაც მინდა, იმას ვუზამ". ამასთანავე, ბრალდებულსა და გარდაცვლილს შორის მანამდეც ყოფილა ძალადობის შემთხვევა, რის გამოც, ბრალდებულის წინააღმდეგ შემაკავებელი ორდერი გამოიცა. ამდენად, პროკურატურას უნდა გაეთვალისწინებინა გარემოებები, რომლებიც გენდერულ ნიშანზე მიუთითებდნენ და სასამართლოში საქმე იმგვარი ბრალის დადგენილებით წარემართა, რომლითაც გენდერის ნიშანი მაკვალიფიცირებელი გარემოება იქნებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ, განხილულ საქმეში,[37] მიიჩნია, რომ ბრალდებულმა ბ.ა.-მ დაზარალებული, ყოფილი სექს-მუშაკი, შურისძიების მოტივით მოკლა, ვინაიდან მისი სურათი სოციალურ ქსელში ატვირთა და ახალ მეუღლედ მონიშნა. გამომძიებელს არ დაუსვამს შეკითხვები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდებოდა საქმეზე გენდერული მოტივის გამოაშკარავება. პარტნიორის მიერ ყოფილი სექს-მუშაკი ქალის მკვლელობის პირობებში, გამოძიება ვალდებულია, მათ შორის, მოწმეებისთვის სათანადო დამაზუსტებელი კითხვების დასმით, დაადასტუროს ან გამორიცხოს გენდერული მოტივის არსებობა.

კიდევ ერთი საქმე, რომელიც გენდერული პერსპექტივით არ ყოფილა შესწავლილი, თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა და ასევე უკავშირდებოდა სექს-მუშაკი ქალის მკვლელობას.[38] ბრალდებულმა ი.ზ.-მ ცივი იარაღის გამოყენებით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა სექსუალური მომსახურებისთვის მასთან სახლში მისულ სექს-მუშაკს. დამატებით აღსანიშნავია, რომ მოწმეთა ჩვენებების თანახმად, მოკლული სექს-მუშაკი ქალი კლასიკური გაგებით ნაზი, მორჩილი ქალი არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ სექს-მუშაკი ქალი სექსუალური მომსახურების მიმღებმა კაცმა მოკლა, გამოძიებას სათანადო ნაბიჯები არ გადაუდგამს სექს-მუშაკი ქალის მკვლელობის საქმეზე გენდერული მოტივის გამოსაკვეთად. საბოლოოდ, დანაშაულის მოტივი გაურკვეველი დარჩა. აღსანიშნავია, რომ კომერციულ სექსში ჩართული ადამიანები სტიგმატიზებულები და მარგინალიზებულები არიან. შესაბამისად, სექს-მუშაკი ქალის მკვლელობის ნებისმიერი საქმის გენდერული პერსპექტივით შესწავლა მნიშვნელოვანია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში,[39] გამოძიებამ ანგარების მოტივთან ერთად, სათანადოდ არ გამოიკვლია გენდერული მოტივის არსებობა. მოცემულ საქმეში წარსულში განზრახი დანაშაულისთვის არაერთგზის ნასამართლევმა პ.პ.-მ, მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით, მოკლა ქალი, რომელთანაც წლების განმავლობაში ინტიმური ურთიერთობა აკავშირებდა. აღსანიშნავია, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ბრალდებული წარსულში, ყოფილ ცოლზეც ძალადობდა ეკონომიკურად. მიუხედავად ამისა, განსახილველ შემთხვევაში გამოძიებას დანაშაული ყოფილი პარტნიორის მხრიდან სავარაუდო ეკონომიკური ძალადობის კონტექსტში არ განუხილავს და არც ღონისძიებები გაუტარებია გენდერული ნიშნის დასადგენად.

საანგარიშო პერიოდში გენდერული მოტივი ვერ გამოიკვეთა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ კიდევ ერთ საქმეში, რომელიც მამამთილის მიერ რძლის მოკვლას ეხებოდა.[40] მოცემულ საქმეში გამოძიებამ ვიწროდ აღიქვა გენდერის კონცეფცია, რამაც ვერ უზრუნველყო

37 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/7099-22.

38 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/6278-22.

39 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/7163-22.

40 ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-67/23.

საქმეზე გენდერული მოტივის დადგენა. საქმის გამოძიების ეტაპზე, შაბლონური კითხვები დაისვა გენდერული მოტივის გამოსავლენად. კერძოდ, ხომ არ ყოფილა აგრესიის მიზეზი ის, რომ ბრალდებული თავს ოჯახის უფროსად მიიჩნევდა და როგორც კაცს, უნდა დამორჩილებოდნენ ქალები? კონფლიქტის მიზეზი ხომ არ გამხდარა ის, რომ არ მოსწონდა ოჯახის წევრი ქალების ჩაცმულობა ან მათი მეზობელთან შესვლა, მომზადებული საჭმელი, ან ის, თუ როგორ უვლიდნენ ბავშვებს, ან სხვა საკითხები? აღნიშნულ კითხვებზე უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ, გამოძიებამ დაადგინა, რომ საქმეში გენდერული მოტივი არ იკვეთებოდა.

მიზანშეწონილია, საგამოძიებო ორგანოებმა ფართოდ შეხედონ გენდერულ მოტივს და ის არ დაავიწროონ მხოლოდ საჭმლის მომზადებასა თუ ბავშვების მოვლამდე. ამასთანავე, ხშირად დაზარალებულები ვერ აღიქვამენ, რომ მათ მიმართ ძალადობა გენდერული ხასიათისაა, ამდენად, შაბლონური კითხვების დასმა და გამოკითხულ პირთა პასუხები საქმეში არსებული მტკიცებულებების ფართო სპექტრის სათანადოდ გაუანალიზებლად, ვერ უზრუნველყოფს საქმეზე გენდერული მოტივის გამოკვეთას.

მოცემულ საქმეში მამამთილმა რძალი იარაღის გამოყენებით იმისთვის მოკლა, რომ რძალმა მოუწოდა შეეწყვიტა მეუღლისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, გააფრთხილა, რომ პოლიციას მიმართავდა. გამოძიებას მხედველობაში უნდა მიეღო საქმეში გამოკვეთილი ძალადობის წინარე ისტორიებიც, კერძოდ, ბრალდებულსა და გარდაცვლილს, ისევე როგორც ბრალდებულის მეუღლეს შორის კონფლიქტის თაობაზე პოლიციაში ფიქსირდებოდა გამოძახებები. ამდენად, მნიშვნელოვანია, გამოძიებამ სიღრმისეულად შეისწავლოს საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ფემიციდის ჩამდენია ოჯახის წევრი კაცი, რადგან ხშირად ოჯახში ძალადობის უკან გენდერული მოტივები დგას.

გენდერული მოტივის გამოვლენას და სწორ კვალიფიკაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმიტომაც, რომ პრობლემის აღმოფხვრა სასამართლო ეტაპზე შეუძლებელია. ვინაიდან, თუ ბრალდების შესახებ დადგენილებაში გენდერის ნიშანი მაკვალიფიცირებელ გარემოებად არ არის მითითებული, მაგრამ სასამართლო დაადგენს გენდერული მოტივით დანაშაულის ჩადენის ფაქტს, მოსამართლე ბრალდებულის საუარესოდ, საქმის კვალიფიკაციას ვერ შეცვლის. მოსამართლეს მხოლოდ ის შეუძლია, სასჯელის შეფარდებისას გაითვალისწინოს აღნიშნული გარემოება.

საანგარიშო პერიოდში ასევე გამოიკვეთა შემთხვევა, როდესაც კვალიფიკაცია მოიცავდა გენდერის ნიშანს, თუმცა ხარვეზიანი გამოძიების გამო სასამართლომ გენდერული მოტივი ვერ დაადგინა.[41] ამ კონკრეტულ საქმეში, ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა, რომელიც განაწყენებული იყო მასთან ერთად მცხოვრებ მეუღლის დედაზე, 1933 წელს დაბადებულ, უმწეო/მწოლიარე მდგომარეობაში მყოფ, 89 წლის სიდედრს, ნაჯახის და დანის გამოყენებით, სხეულის სხვადასხვა ადგილზე მრავლობითი ჭრილობები მიაყენა. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში საგამოძიებო მოქმედებები დროულად განხორციელდა, გამოძიება სათანადოდ არ წარიმართა გენდერულ მოტივთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოპოვების თვალსაზრისით. მართალია, სისხლის სამართლის საქმეზე კვალიფიკაცია მოიცავდა დანაშაულის ჩადენას გენდერის ნიშნით, თუმცა მტკიცებულებებითა და შესაბამისი არგუმენტებით არ ყოფილა გამყარებული გენდერული ნიშნის არსებობა, რის თაობაზეც სამართლიანი შენიშვნა ჰქონდა სასამართლოს. სასამართლომ აღნიშნა, რომ მხოლოდ პირის

41 ზესტაფონის რაიონული სასამართლოს საქმე №1/467-2022.

ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითება დანაშაულის ჩადენაზე გენდერის ნიშნით, ვერ გახდება საფუძველი პირის დამნაშავედ ცნობისათვის გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით, ვინაიდან, ამისათვის საჭიროა ბრალდების მხარემ არა მხოლოდ ზოგადი მითითება გააკეთოს დადგენილებაში, არამედ კონკრეტულად ჩამოაყალიბოს, თუ რაში გამოიხატა გენდერული შეუწყნარებლობით დანაშაულის ჩადენა.

სანიმუშოდ უნდა აღინიშნოს შემთხვევები, როდესაც გამოძიების ეტაპზე სათანადო ძალისხმევა იყო მიმართული გენდერული მოტივის გამოსაკვეთად. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე[42] გამომძიებელმა მოტივის გამოსაკვეთად დასვა რელევანტური კითხვები, მათ შორის: თქვენმა მეუღლემ იმის გამო ხომ არ მოგაყენათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რომ ქალი ხართ, ან ოჯახის საქმეების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო? მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულმა კითხვაზე უარყოფითი პასუხი გასცა და თქვა, რომ მეუღლე შეურაცხყოფას ეჭვიანობის მიზეზით აყენებდა, გამომძიებელი კითხვის სხვაგვარად ფორმულირებით შეეცადა გამოსაკითხი პირის მხრიდან დამატებითი ინფორმაციის მოპოვებას. კერძოდ, გამომძიებელმა დაზარალებულს დამატებით ჰკითხა: რა ხდებოდა ძირითადად თქვენი კონფლიქტის მიზეზი, გარდა ეჭვიანობისა? რაზეც პასუხად მან უკვე მიიღო, რომ „ბევრჯერ მიზეზი გამხდარა ის, რომ ჭურჭელი იყო დაგროვებული, თუ რატომ არის დასალაგებელი და ასე შემდეგ. ჩემი მეუღლე თვლის, რომ რადგან ქალი ვარ, ყველაფერი მე უნდა ვაკეთო, პირობების მიუხედავად. ყველაფერს მართლაც მე ვაკეთებ, შეშის დაჭრიდან, წყლის მოტანის ჩათვლით, თუ რამე დახვდა მოუწესრიგებელი, ესეც არის ხოლმე ზოგჯერ მიზეზი ჩხუბის. მას არ ესმის, რომ მე ორი შვილი მყავს და შეიძლება ზოგჯერ რაღაც გამომრჩეს“. აღნიშნული საქმე ცხადყოფს, რომ გამოძიების ორგანოებმა გენდერული მოტივის გამოსავლენად უნდა გამოიყენონ სათანადო საგამოძიებო ტექნიკები და გენდერული პერსპექტივით გააანალიზონ საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიების ეტაპზე წინა წლების მსგავსად შეისწავლება ძალადობის წინარე ისტორია. თუმცა, ამ მხრივ გამონაკლისი იყო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე[43], სადაც ფემიციდის მცდელობამდე რამდენიმე თვით ადრე დაწყებული იყო გამოძიება 126[1] მუხლის საფუძველზე, მაგრამ საქმის მასალებში წარმოდგენილი არ ყოფილა სრულყოფილი დოკუმენტაცია იმის შესაფასებლად, რამდენად სათანადოდ წარიმართა გამოძიება. ფემიციდი და ფემიციდის მცდელობა ხშირად არის გენდერული უთანასწორობის და სისტემატური გენდერული ძალადობის კულმინაცია, შესაბამისად, ძალადობის წინა ისტორიის გამოკვლევა, მნიშვნელოვანია, მათ შორის დანაშაულის მოტივის გამოსაკვლევად. აქვე, აღსანიშნავია, რომ ანგარიშში გაანალიზებული ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის 29 საქმიდან ძალადობის თაობაზე წინარე მიმართვები იკვეთება 9 საქმეში.[44]

4.2. მკვლელობის მცდელობა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება

საანგარიშო პერიოდში სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) განსაზღვრული კვალიფიკაცია გვხვდება 4 საქმეზე, საიდანაც პრობლემური იყო 1 შემთხვევა.

42 სიღნაღის რაიონული სასამართლოს საქმე №1/170-20.

43 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1258-22.

44 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილები: MIA 1 2203704936, 29/12/2022; MIA 6 23 03842496, 28/12/2023; MIA 5 23 03587147, 06/12/2023; MIA 8 24 00334250, 05/02/2024.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2018 წლის 17 მაისის №6680აპ განაჩენში განმარტა, რომ განზრახ მკვლელობის მცდელობის და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების გამიჯვნისას პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქმის ყველა დეტალს. პალატამ აღნიშნა, რომ ორი სამართლებრივი მოცემულობის (განზრახ მკვლელობის მცდელობა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) ქმედების კვალიფიკაციისას შეცდომის გამოსარიცხად, სასამართლოებმა ზედმიწევნით დეტალურად უნდა შეისწავლონ და გააანალიზონ საქმეში არსებული ყველა გარემოება. ვინაიდან გამოსაკვეთია დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის - **განზრახვის ელემენტი, რომლის მიმართულებაც განასხვავებს განზრახ მკვლელობის მცდელობას ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისაგან. განზრახვის დასადგენად კი შესწავლილი უნდა იყოს: დანაშაულის ჩადენის ხერხი და საშუალება, დაზიანებათა რაოდენობა და მათი ლოკალიზაცია, როგორ ვითარებაშია ისინი მიყენებული, დამნაშავისა და მსხვერპლის ურთიერთდამოკიდებულება ზოგადად და დაზიანების მიყენების მომენტში და სხვ.** პალატა ასევე აღნიშნავს, რომ დანაშაულებრივი ქმედების სწორად დაკვალიფიცირებისათვის სასამართლომ **მხედველობაში უნდა მიიღოს ასევე დანაშაულებრივი ქმედების შეწყვეტის მიზეზები და დამნაშავის ქცევა მოქმედების ჩადენის შემდეგ.** სწორედ ამ გარემოებათა შეფასების შედეგად უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ, ჩადენილი უსამართლობა გამოწვეული იყო თუ არა პირის მოკვლის განზრახვით.

მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში[45] იკვეთებოდა არა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების, არამედ მკვლელობის მცდელობის ნიშნები. საქმეში ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფმა შვილმა დედას უთხრა, ვითომ ეპილეფსია მაქვს, შავი ნაჭრები დამაფარე, სასწრაფო უნდა გამოვიძახო, რომ დიაზეპამი გამიკეთონო. დედის პასუხზე, რატომ იტყუებიო, ის აგრესიული გახდა: იქვე მდგარი ხის სკამი მთელი ძალით ჩაარტყა თავში; კიდევ რამდენიმეჯერ დაარტყა სკამი თავის, ტანის და ბეჭების არეში, შემდეგ ლითონის ღუმელის გამოსაჩხრეკი დაარტყა ბეჭების არეში, თან ეუბნებოდა, „მოკვდი, უნდა მოგკლა, არ გაცოცხლებ". დაზარალებული სხვა ოთახში გასვლით შეეცადა ბრალდებულის შეჩერებას, თუმცა ბრალდებული იქაც შეჰყვა დედას, ჯერ ღვინით სავსე ბოთლი დაასხა თავზე, შემდეგ ცხელი წყლის თავზე გადასხმა მოუნდომა, მაგრამ დაზარალებულმა ხელი ჰკრა, რის შედეგადაც წყლის ნაწილი ყურსა და შუბლის არეში მიესხა. ამის შემდეგ ბრალდებულმა დაზარალებულს ტომარის მაგვარი ჩანთა ჩამოაფარა, თან ეუბნებოდა, უნდა გაგგუდო, მოგკლაო. დაზარალებულის განცხადებით, ბრალდებულმა მხოლოდ მაშინ დაანება თავი, როდესაც დაიღალა.

ამ შემთხვევაში საყურადღებოა, რომ არსებობდა ძალადობის წინარე ისტორია. ამასთანავე, ბრალდებული დედას ფიზიკურად უსწორდებოდა სიცოცხლის ხელყოფისათვის საშიში სხვადასხვა საგნის გამოყენებით. ასევე, გასათვალისწინებელია ბრალდებულის წარმოთქმული სიტყვები, რომლებიც მკვლელობის განზრახვაზე მიუთითებდნენ. საყურადღებოა დაზარალებულის ჩვენების ის ნაწილიც, სადაც აცხადებს, რომ ბრალდებული დაიღალა და ამის გამო შეწყვიტა დანაშაულებრივი ქმედება. საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაზარალებულს აღენიშნებოდა სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის სხეულის დაზიანება. მკვლელობის მცდელობად ბრალდებულის ქმედების კვალიფიკაციისათვის თანაბრად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო დანაშაულის ჩადენის შემდეგ ბრალდებულის ქცევაც. ბრალდებულს არ უცდია დედისთვის დახმარების აღმოჩენა. ამდენად, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ბრალდებულის ქმედებაში იკვეთებოდა მკვლელობის მცდელობის და არა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მცდელობის ნიშნები.

45 მცხეთის რაიონული სასამართლოს საქმე №1/213-22.

ქმედების სწორ სამართლებრივ კვალიფიკაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩადენილი ქმედების საპასუხოდ ადეკვატური სასჯელის დასანიშნად, რათა თანაზომიერი სასჯელის ზომა იყოს გამოყენებული.[46]

პროკურატურის მიერ ქმედების კვალიფიკაციისას მაღალი სტანდარტის გამოყენების მაგალითია რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმე.[47] ამ საქმეში შვილმა დედას დანა დაარტყა მუცელში, შედეგად, მიაყენა მუცლის ღრუში შემავალი ნაკვეთი, სიცოცხლისთვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება. შვილი დედაზე იმიტომ იყო გაბრაზებული, რომ მან ოჯახში ძალადობის ბრალდების საქმეზე, მეუღლის, ბრალდებულის მამის, წინააღმდეგ მისცა ჩვენება. კლინიკის ექიმის ჩვენების თანახმად, დაზარალებულის მდგომარეობა კლინიკაში შეყვანის მომენტში მძიმე იყო. მას აღენიშნებოდა მეორე ხარისხის შოკი და სისხლის დაკარგვის გამო სასიცოცხლო ფუნქციები დარღვეული ჰქონდა, თუმცა აღმოჩენილი სამედიცინო დახმარების შედეგად ის გადარჩა.

მოცემულ საქმეში უზენაესი სასამართლოს ზემოხსენებული განმარტების შესაბამისად, შესაძლებელი იყო საქმის 117-ე მუხლით კვალიფიკაცია შემდეგი გარემოებების გამო: ბრალდებულმა მხოლოდ ერთხელ დაარტყა დედას დანა; მას კიდევ ჰქონდა ჭრილობების მიყენების შესაძლებლობა და დანაშაულებრივი ქმედების შეწყვეტის მიზეზი არ გამხდარა შემხვედრი წინააღმდეგობა ან ვინმეს მხრიდან ბრალდებულის გაკავება; ასევე, დანაშაულის ჩადენის შემდგომ, ბრალდებულმა დას უთხრა, რომ დედისთვის მიეხედა. თუმცა, მიუხედავად აღნიშნული გარემოებებისა, პროკურატურამ იხელმძღვანელა უფრო მაღალი სტანდარტით და პირს ბრალი წაუყენა განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის, რაც მისასალმებელია, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლო ბრალს ვერ დაამძიმებს და იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა მკვლელობის მცდელობა და პროკურატურის ბრალდების შესაბამისად, პირს ბრალი ედება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში, სასამართლო საქმეს სწორედ ამ კვალიფიკაციის ფარგლებში განიხილავს.

4.3. ფემიციდით დაზარალებული ბავშვები

2020 წლიდან საქართველოს პროკურატურა დაზარალებულად ცნობს მოკლული ქალების იმ მცირეწლოვან თუ არასრულწლოვან შვილებს, რომლებიც შეესწრნენ ფემიციდის შემთხვევას ან გაიგონეს მსხვერპლის ხმა. თუმცა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით პროკურატურას არაერთგვაროვანი პრაქტიკა აქვს. მონიტორინგის ფარგლებში იკვეთება, რომ ოთხ საქმეში პროკურატურამ კვლავ ცნო დაზარალებულად არასრულწლოვნები იმის გამო, რომ დედის მიმართ ჩადენილი ძალადობის მოწმეები იყვნენ, თუმცა ოთხ საქმეში[48], მიუხედავად იმისა, რომ ფემიციდი/ფემიციდის მცდელობა დაზარალებულის არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით მოხდა, პროკურატურამ არასრულწლოვნები დაზარალებულად არ ცნო.

46 მოცემულ საქმეში ბრალდებულს სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, სადავოა, არის თუ არა ეს სასჯელი მის მიერ ჩადენილი ქმედებების თანაზომიერი.

47 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/914-22.

48 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №4216-22, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1258-22, ახალციხის რაიონული სასამართლოს საქმე №1/217-22 და ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-67/23.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში[49], მამამთილმა, მცირეწლოვანი შვილების თანდასწრებით, მისი შვილისა და დაზარალებულის მეუღლის საფლავის მიმდებარე ტერიტორიაზე, სხეულის სხვადასხვა ადგილებში დანის რამდენჯერმე დარტყმით სცადა რძლის მკვლელობა. მართალია, აღნიშნულ საქმეზე კვალიფიკაცია მოიცავდა ქმედების განსაკუთრებული სისასტიკით განხორციელებას სწორედ იმ საფუძვლით, რომ ბრალდებულისთვის ცნობილი იყო, რომ დაზარალებულს დანას არასრულწლოვანი შვილიშვილების თანდასწრებით ურტყამდა, თუმცა არასრულწლოვანი ბავშვები პროკურატურას დაზარალებულად არ უცნია.

პროკურატურამ ასევე არ ცნო არასრულწლოვნები დაზარალებულად თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში,[50] სადაც ბრალდებულმა მეუღლე, არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, ავტობუსში მოკლა დანის მრავალჯერადი გამოყენებით სხეულის სხვადასხვა ადგილზე მიყენებული ჭრილობების შედეგად. შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ ბრალდებულისა და გარდაცვლილის არასრულწლოვანი შვილები, რომელთა გამოკითხვის თანახმად, მამამ დედას დანა ყელის არეში რამდენჯერმე ჩაარტყა. არასრულწლოვანმა ჩვენებაში განაცხადა: „ძალიან შემეშინდა, ვცდილობდი მამის შეჩერებას, მაგრამ ვერ შევძელი". მიუხედავად ამისა, პროკურატურამ არასრულწლოვანი ბავშვები დაზარალებულად არ ცნო.

არასრულწლოვანი დაზარალებულად ასევე არ ყოფილა ცნობილი ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში,[51] სადაც სწორედ არასრულწლოვნის მოწოდებამ შეაჩერა მოძალადე და შეწყვიტა მეუღლისთვის დანის გამოყენებით ჭრილობების მიყენება. არასრულწლოვნის ჩვენების თანახმად, მამამ უთხრა, ცოტა ხანი სახლიდან გარეთ გასულიყო, თუმცა ყვირილის ხმაზე სახლში დაბრუნდა და დაინახა, რომ დედა იატაკზე იწვა და მამა დანას ურტყამდა, ამიტომ მამას შეეხვეწა, რომ გაჩერებულიყო, რის შემდეგაც მან შეწყვიტა დანაშაულებრივი ქმედება. შედეგად, მოცემულ საქმეში დაზარალებული სიკვდილს გადაურჩა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში, პროკურატურამ დაზარალებულად ასევე არ ცნო არასრულწლოვნები, რომლებიც მკვლელობის დროს სახლში იმყოფებოდნენ, ესმოდათ ძალადობის ხმები და გასროლის ხმაზე გამოსულებმა, ნახეს დედა, რომელსაც სიცოცხლისთვის შეუთავსებელი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. არასრულწლოვნის გამოკითხვა მიუთითებს იმ ტრავმაზე, რაც ბრალდებულის დანაშაულებრივმა ქმედებამ მათში გამოიწვია: „შეშინებული გამოვედი მისაღები ოთახიდან და დავინახე დედაჩემი სამზარეულოს იატაკზე. ამაზე ჩავვარდი შოკში, ტვინი გამეთიშა და ამის მერე არაფერი აღარ მახსოვს".[52]

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის 26-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, ძალადობის მსხვერპლად აღიარონ ბავშვები, რომლებიც შეესწრნენ ოჯახში ძალადობას. „ძალადობის მოწმე ბავშვი" არ გულისხმობს მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ბავშვები უშუალოდ ესწრებიან ძალადობის სცენებს, არამედ მოიაზრებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ბავშვებს ესმით ყვირილი ან ძალადობის ამსახველი სხვა ხმები, ანდა ხანგრძლივად განიცდიან ძალადობის შედეგებს.

49 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1258-22.

50 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4216-22.

51 ახალციხის რაიონული სასამართლოს საქმე №1/217-22.

52 ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-67/23.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ სიღნაღის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში[53], პროკურატურამ დაზარალებულად ცნო მოკლული ქალის არასრულწლოვანი შვილები, რომლებიც, მართალია, უშუალოდ არ შესწრებიან მკვლელობას, თუმცა შორიახლოს იმყოფებოდნენ, გაიგონეს ცეცხლსასროლი იარაღის ხმა, მალევე მიირბინეს შემთხვევის ადგილზე და დაინახეს ძირს დაწოლილი დასისხლიანებული დედა და მამა- თოფით ხელში, რამაც მათში წარუშლელი ტრავმა გამოიწვია. ამასთანავე, ბრალდებულმა დედის სისხლით დასვრილი ქვა ხელში ჩაუდო შვილს და უთხრა, რომ ეს სამახსოვროდ დარჩებოდა, რაც დამატებით ტრავმული გამოცდილება იყო არასრულწლოვნისათვის. აღნიშნულ შემთხვევაში პროკურატურამ დააკმაყოფილა სტამბოლის კონვენციის სტანდარტი და ბავშვები დაზარალებულად ცნო მიყენებული მორალური ზიანის გამო.

ამდენად, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ პროკურატურამ ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის მოწმე არასრულწლოვნები ყველა საქმეზე დაზარალებულად ცნოს და აღნიშნული არ იყოს დამოკიდებული ინდივიდუალური პროკურორის სუბიექტურ შეხედულებაზე.

4.4. გამოძიების ეტაპზე გამოვლენილი სხვა ხარვეზები

საანგარიშო პერიოდში ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის საქმეების შესწავლისას გამოძიების ეტაპზე გამოვლინდა ისეთი ხარვეზები, როგორიცაა თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანის ფაქტთან დაკავშირებით შემთხვევის ადგილის დაუთვალიერებლობა, ასევე არ ყოფილა ამოღებული შარვალი, რომელიც დაზარალებულმა ქმედების განსახორციელებლად გამოიყენა.[54] გამოძიებამ არასაკმარისი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა სიღნაღის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში,[55] სადაც დ.გ.-ს მეუღლის თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანასთან ერთად, ბრალი ედებოდა მისივე სისტემატურ გაუპატიურებაში. გაუპატიურებასთან დაკავშირებით, გამოძიებას, გარდა დაზარალებულის გამოკითხვისა, არცერთი სხვა საგამოძიებო მოქმედება არ ჩაუტარებია. სასამართლომ მხოლოდ დაზარალებულის ჩვენება არასაკმარისად მიიჩნია გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დანაშაულის დასადასტურებლად.

მონიტორინგის ფარგლებში, რიგ საქმეებში[56] პრობლემურად გამოიკვეთა საგამოძიებო უწყების მხრიდან დაზარალებულის სამედიცინო ისტორიის მოპოვების ფორმა. კერძოდ, ის მოიპოვებოდა არა სასამართლოს განჩინების, არამედ გამომძიებლის მიმართვის საფუძველზე, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით (შემდეგში სსსკ) დადგენილ მოთხოვნებს არ შეესაბამება. კერძოდ, აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის სსსკ-ს 120-ე მუხლთან, რომლის თანახმად დოკუმენტის ამოსაღებად საჭიროა სასამართლოს განჩინება, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში - გამომძიებლის დადგენილება. საგამოძიებო უწყებამ სამედიცინო ისტორიის ამოღების დროს უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებით, რაც დააზღვევს რისკებს იმისა, რომ დაცვის მხარის მიერ სადავოდ გახდომის შემთხვევაში, მტკიცებულება არ ცნონ დაუშვებლად.

53 სიღნაღის რაიონული სასამართლო საქმე №1/6-23.

54 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/6588-22.

55 სიღნაღის რაიონული სასამართლოს საქმე №1/170-20.

56 სიღნაღის რაიონული სასამართლოს საქმე №1/170-20, მცხეთის რაიონული სასამართლოს საქმე №1/397-22.

საანგარიშო პერიოდში ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის საქმეთა გამოძიებისას ასევე პრობლემურ საკითხად გამოიკვეთა არასრულწლოვანთა გამოკითხვა ფსიქოლოგის მონაწილეობის გარეშე.[57] სიღნაღის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ 2 საქმეში[58] გამოძიების ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ არასრულწლოვნების გამოკითხვა ფსიქოლოგის დაუსწრებლად, ვინაიდან ერთ საქმეში[59] გამოსაკითხი პირი იყო 8 წლის ბავშვი, რომლის მიმართაც, სავარაუდოდ, გარყვნილ ქმედებას ჰქონდა ადგილი, ხოლო მეორე საქმეში - 14 წლის ბავშვი, რომელიც, სავარაუდოდ, მამის მხრიდან სექსუალური და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი იყო.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 52-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვნის გამოკითხვისას საპროცესო მოქმედების განმახორციელებელი პირი, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ფსიქოლოგის მონაწილეობას. ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და გამოკითხვის დროს უწევს მას ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. შესაბამისად, ფსიქოლოგის ჩართულობა მნიშვნელოვანია არასრულწლოვანი დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან ასარიდებლად და არასრულწლოვანში ტრავმის და სტრესის სიმპტომების გამძაფრების შემთხვევაში პირველადი ფსიქოლოგიური დახმარების აღმოსაჩენად.

ასევე, უნდა აღინიშნოს საქმეები, სადაც დაზარალებულებმა უარი განაცხადეს მოძალადის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე, ხოლო საქმის მასალებიდან არ იკვეთებოდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმეში,[60] სისტემატური დამცირებითა და ძალადობით შეურაცხყოფილმა ქალმა თვითმკვლელობა სცადა. მოცემულ საქმეში გამოძიების ეტაპზე დადგინდა, რომ იკვეთებოდა გენდერული ნიშანი, კერძოდ, ბრალდებული, დაზარალებულს, იმის გამო, რომ ქალი იყო, უკრძალავდა თავისუფლად ცხოვრებას, ზღუდავდა მას ურთიერთობებში, არ აძლევდა აზრის გამოთქმის საშუალებას. დაზარალებულმა საქმის არსებით განხილვაზე უარი თქვა ჩვენების მიცემაზე. მისასალმებელია, რომ სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია, რომ მომჩივნის ზეპირი ჩვენების გარეშე არ არსებობდა მტკიცებულებითი სტანდარტი ბრალდებულის მსჯავრდებისთვის. მოსამართლემ განმარტა, რომ საკითხის სენსიტიურობიდან და გენდერული მგრძნობელობიდან გამომდინარე, დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარი არ შეიძლება უპირობოდ გახდეს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი.

სასამართლოს შეფასებით, ასეთი მოსაზრება უშუალოდ ეწინააღმდეგება „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ'' ევროპის საბჭოს კონვენციას და მიუთითა კონვენციის 55-ე მუხლზე, რომლის თანახმად, „1. მხარეები უზრუნველყოფენ, რომ.... დანაშაულის გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ იყოს მთლიანად დამოკიდებული მსხვერპლის მიერ შეტანილ განცხადებაზე ან საჩივარზე ... და რომ სასამართლო პროცესი გაგრძელდეს მაშინაც კი, თუ მსხვერპლი გამოიტანს განცხადებას ან საჩივარს''. სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელია მსხვერპლის ქცევის

57 თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმე №1ბ/757-22, სიღნაღის რაიონული სასამართლო საქმე №1/203-22, სიღნაღის რაიონული სასამართლოს საქმე №1/170-20.

58 სიღნაღის რაიონული სასამართლო საქმე №1/203-22 და სიღნაღის რაიონული სასამართლოს საქმე №1/170-20.

59 სიღნაღის რაიონული სასამართლოს საქმე №1/170-20.

60 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/6588-22.

დინამიკა, რაც დაუკავშირა მოცემული საქმის დეტალებს, რის შედეგადაც დამატებით დაასაბუთა საკუთარი პოზიცია გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულთან მიმართებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ დაზარალებულმა ჩვენების მიცემისას განაცხადა შემდეგი: „ჩვენებას არ მივცემ, მაგრამ ბრალდებული არ გამეკაროს", რამაც სასამართლო დაარწმუნა, რომ ის ლმობიერი პოზიციის დაკავებით ცდილობდა მოძალადისგან სამომავლო ძალადობის განეიტრალების გარანტიის მიღებას. სასამართლომ შეაფასა მის წინაშე არსებული მტკიცებულებები და მივიდა დასკვნამდე, რომ ბრალდებული წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ უნდა ყოფილიყო ცნობილი.

მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში[61] ბრალდებულს ბრალი ედებოდა მეუღლის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაზარალებული ქალის დაზიანებები მძიმე ხარისხს მიეკუთვნებოდა და სიცოცხლისათვის სახიფათო იყო. მიუხედავად ამისა, გამოძიების ეტაპზე დაზარალებულმა განცხადებით მიმართა საგამოძიებო უწყებას, რომლის თანახმად, ის მეუღლეს პატიობდა ჩადენილ ქმედებას, მის მიმართ პრეტენზია არ ჰქონდა და ითხოვდა ბრალდებულის მიმართ კანონით გათვალისწინებული შეღავათების გამოყენებას. საქმის არსებით განხილვაზე კი, დაზარალებულმა უარი განაცხადა ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. მოცემულ საქმეში დაზარალებულის პოზიციის მიუხედავად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდებოდა ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა და მას სასჯელის სახედ და ზომად 6 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

დადებითად უნდა აღინიშნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმე[62], სადაც გამოძიებამ გაითვალისწინა საქმის სპეციფიკა, სასამართლოს განჩინებით ფარული საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა და უზრუნველყო საქმეზე მტკიცებულებების მოპოვება. ამ საქმეში შვილისთვის მიუღებელი იყო დედისა და მისი პარტნიორის ურთიერთობა, რადგან მიიჩნევდა, რომ ეს ოჯახისთვის შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახველი იყო. ამ საფუძვლით ბრალდებულმა დანის გამოყენებით დედის პარტნიორს სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანებები მიაყენა, ხოლო დედას სხეულის სხვადასხვა ადგილებში მიაყენა დაზიანება, თუმცა გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად სიკვდილს გადაურჩა.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში, საგამოძიებო უწყებამ მოიპოვა დაზარალებულის ჩანაწერი, სადაც ის თავისუფალი თხრობით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე აღწერს მისი შვილის მიერ ჩადენილ დანაშაულს და აცხადებს, რომ მასა და გარდაცვლილს ჭრილობები სწორედ ბრალდებულმა მიაყენა. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება სასამართლოს დაეხმარა გამამტყუნებელი განაჩენის მიღებაში იმ პირობებში, როდესაც დაზარალებულმა სასამართლო პროცესზე უარი განაცხადა შვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე და ასევე, გამოძიების ეტაპზეც განაცხადა, რომ დაზიანებები წაქცევის შედეგად მიიღო.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია საგამოძიებო უწყებამ საქმესთან მიმართებით, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში, მოიპოვოს ყოველმხრივი მტკიცებულებები, რაც ხელს შეუწყობს ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე მართლმსაჯულების სამართლიან განხორციელებას. ამასთანავე, საგანგებოდ უნდა მიეთითოს ფემიციდის მცდელობის

61 მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ განხილული საქმე №1/397-22.

62 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4681-22.

საქმეებში მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორის პრიორიტეტულად ჩართულობის აუცილებლობაზე, დაზარალებული ქალების სათანადო ფსიქოემოციურ მხარდაჭერასა და კონსულტაციაზე, რათა დაზარალებულებმა სრულყოფილად გაიაზრონ ჩვენების მიცემის მნიშვნელობა, ძალადობის განმეორების მოსალოდნელი საფრთხე და შედეგები.

საანგარიშო პერიოდში ასევე გამოიკვეთა შემთხვევა, როდესაც ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში[63], დაზარალებულის ბებიამ მართლმსაჯულების შეცდომაში შეყვანის მიზნით ცრუ ჩვენება მისცა. კერძოდ, აღნიშნულ საქმეში შერიგებაზე უარით განაწყენებულმა ბრალდებულმა ყოფილი მეუღლის მკვლელობა სცადა. დაზარალებულის ბებიამ სასამართლოს წინაშე თქვა, რომ არ დაუნახავს და არ იცის, რა მოხდა შემთხვევის დროს, რადგან იმ ადგილს ღობე ეფარებოდა და როდესაც გარეთ გავიდა, დაზარალებული უკვე ძირს ეგდო. პროკურორის კითხვაზე, გამოძიების ეტაპზე რატომ თქვა, რომ დაინახა, თუ როგორ დაარტყა ბრალდებულმა წაქცეულ დაზარალებულს რამდენჯერმე დანა კისრისა და გულმკერდის არეშე - მოწმემ განმარტა, რომ არ უნდა ბრალდებული ციხეში იყოს და უნდა, რომ ცოლ-ქმარი შერიგდეს, თუმცა გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება სიმართლეს შეესაბამება, ფაქტს შეესწრო და დაინახა, როგორ დაარტყა ბრალდებულმა დაზარალებულს დანა. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო დამამძიმებელ გარემოებაში განხორციელებულ განზრახ მკვლელობის მცდელობაში, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული შეურიგდა მეუღლეს, არ ჰქონდა მასთან პრეტენზია და ითხოვდა პენიტენციური დაწესებულებიდან მის დროულად გამოშვებას, სასამართლომ ბრალდებულს სასჯელის სახედ და ზომად 17 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

სახელმწიფომ მკაცრი პოლიტიკა უნდა აწარმოოს მსგავს შემთხვევებზე, როდესაც დანაშაულის მოწმეებს სასამართლო განზრახ შეჰყავთ შეცდომაში, ბრალდებულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან ასარიდებლად. ეს საკითხი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ოჯახური დანაშაულების საქმეებში, სადაც დაზარალებულები ხშირად სარგებლობენ ოჯახის წევრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის პრივილეგიით. ამდენად, მნიშვნელოვანია, საგამოძიებო ორგანომ, მოწმეთა ცრუ ჩვენების აღმოჩენისას, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, ერთი მხრივ, მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების ინტერესის უზრუნველსაყოფად, და, მეორე მხრივ, რათა ჰქონდეს პრევენციული ხასიათი მომავალში სხვა მოწმეების მხრიდან ცრუ ჩვენების მიცემის თავიდან ასარიდებლად.

63 ბოლნისის რაიონული სასამართლოს საქმე №1/368-22.

5. ხარვეზები სასამართლო განხილვისას

5.1. სასამართლოს მიერ გენდერის ნიშნის განმარტება და დასაბუთება

საქმეთა მონიტორინგის შედეგად, შესაძლებელია ითქვას, რომ მოსამართლეებს ერთმანეთისგან განსხვავებულად ესმით გენდერული ნიშნის შინაარსი. პირველი ინსტანციის მოსამართლეებს უჭირთ გენდერული ნიშნის ფართოდ განმარტება და ამ ნიშნის დასადგენად ძირითადად არკვევენ, ხომ არ უკრძალავდა ბრალდებული დაზარალებულს ტელეფონით და სოციალური ქსელით სარგებლობას, დასაქმებას, პირთა გარკვეულ წრესთან ურთიერთობას, ასევე, აკონტროლებდა თუ არა ბრალდებული დაზარალებულის ქცევასა თუ ჩაცმულობას. ამ კითხვებზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში კი, გენდერული ნიშანი გამოირიცხებოდა. ამის ნათელი მაგალითია ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ განხილული საქმე,[64] სადაც შერიგებაზე უარის გამო განაწყენებულმა ა.ბ.-მ, დანის მრავალჯერადი დარტყმით, მეუღლეს სიცოცხლისათვის სახიფათო ჭრილობები მიაყენა.

სასამართლოს განმარტებით, მხოლოდ ის გარემოება, რომ შერიგებაზე უარს მოჰყვა შემდგომი დანაშაულებრივი ქმედება, გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებად ვერ მიიჩნევა. სასამართლომ განმარტა, რომ დანაშაულის მოტივად გენდერული ნიშნის განსასაზღვრად მნიშვნელოვანია, შეფასდეს, ქმედებაში იკვეთება თუ არა გენდერული დისკრიმინაცია, ქალის ქცევის კონტროლი, მის **მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულება** ან სხვა სახის გენდერული ძალადობა, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს ქალის გენდერულ როლის მიმართ პატრიარქალური დამოკიდებულებიდან. მართალია, სასამართლომ ჩამოთვალა, თუ რა შემთხვევებით შეიძლება განისაზღვროს საქმეზე გენდერული მოტივის არსებობა, თუმცა არ უმსჯელია, თუ რატომ არ მიიჩნევა შერიგებაზე უარის გამო დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა ქალის მიმართ მესაკუთრულ დამოკიდებულებად. სწორედ მესაკუთრულ დამოკიდებულებაზე შეიძლება მიუთითებდეს ის ფაქტი, რომ კაცი საკუთარ თავს უფლებას აძლევს, დანა დაარტყას ქალს იმის გამო, რომ მას არ სურს შერიგება, რადგან ქალი თავის საკუთრებად მიაჩნია.

ერთ-ერთ საქმეში[65] რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ დანაშაული გენდერის ნიშნით არ ყოფილა ჩადენილი. მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, შვილმა დედას დანა ჩაარტყა მუცელში, რითაც მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება. შვილი იმაზე იყო გაბრაზებული, რომ დედამ ოჯახში ძალადობის ბრალდების საქმეზე, მეუღლის, მისი მამის წინააღმდეგ რამდენჯერმე მისცა ჩვენება.

საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულის ასაკის, მისი სოციალური როლის, დედასთან ურთიერთობის გათვალისწინებით, მას შესაძლოა ანალოგიური დამოკიდებულება ჰქონოდა მამის წინააღმდეგაც. მისი აგრესიული ქცევა განაპირობა არა უშუალოდ დედის გადაწყვეტილებამ, ჩვენება მიეცა მამის წინააღმდეგ, არამედ მშობლებს შორის დამოკიდებულებამ და უთანხმოებამ. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ, მართალია, ერთი მშობლის წინააღმდეგ მეორეს მიერ ჩვენების მიცემა გახდა დანაშაულის ჩადენის საბაბი, თუმცა ეს არ ყოფილა გენდერული დისკრიმინაციის ნიშანი, არამედ დანაშაულის ჩადენის ე.წ. მარტივი მოტივი.

64 ბოლნისის რაიონული სასამართლოს საქმე №1/368-22.

65 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/914/22.

მოცემულ საქმეში, სასამართლოს მსჯელობა პრობლემურია, რადგან ყურადღების მიღმა ტოვებს იმ გარემოებას, რომ პატრიარქალურ საზოგადოებაში ოჯახის პატივისა და ღირსების შენარჩუნების მიზნით ქალს სთხოვენ, უხმოდ ითმინოს ძალადობა. ამასთანავე, ხშირია ქალების მიმართ მუქარა და ზეწოლა, რათა მათ უარი თქვან ოჯახის წევრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. ამ საქმეში, შვილმა დედის მიმართ დანაშაული სწორედ კაცი ოჯახის წევრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის გამო ჩაიდინა, შესაბამისად, ცალსახაა დანაშაულის გენდერული მოტივაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში,[66] გენდერულ მოტივთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ გენდერის ნიშნით მკვლელობის დროს ქმედების მთავარი განმსაზღვრელი მოტივი მსხვერპლის გენდერული კუთვნილებაა. შესაბამისად, დამნაშავის სპეციალური მიზანი და სურვილი სწორედ ამ ნიშნით, გენდერული იდენტობით, მკვლელობის ჩადენაა. ამასთანავე, ქმედების სწორი კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია, იგი გაიმიჯნოს სხვა პირადი მოტივებისგან (შურისძიების, ეჭვიანობის და ა.შ.), ვინაიდან, რიგ შემთხვევაში, ამგვარი მოტივების არსებობა მთლიანად გამორიცხავს გენდერის ნიშანს. სასამართლოს მსჯელობა პრობლემურია, რადგან გენდერის ნიშნის განმარტების დროს უთითებს, რომ ეჭვიანობისა და შურისძიების მოტივების არსებობა რიგ შემთხვევაში მთლიანად გამორიცხავს გენდერის ნიშანს, მაშინ როდესაც ხშირ შემთხვევაში ეჭვიანობა და შურისძიება არათუ გამორიცხავს, არამედ პირიქით, მიუთითებს გენდერულ მოტივებზე.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში შესწავლილ საქმეებში სასამართლოები გადაწყვეტილების დასაბუთებაში უმრავლეს შემთხვევაში მოიხმობდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. თუმცა, ხშირ შემთხვევაში პრეცედენტული სამართლის ციტირებას შაბლონური ხასიათი ჰქონდა და ევროპული სასამართლოს სტანდარტები კონკრეტული რელევანტური ფაქტობრივი გარემოებების ანალიზში არ აისახებოდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში,[67] რომელიც ეხებოდა განზრახ მკვლელობის საქმეს, ჩადენილს დამამძიმებელ გარემოებაში გენდერული ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით, მოსამართლემ მიმოიხილა სტრასბურგის სასამართლოს კონვენციის მე-2 მუხლთან - სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებული ზოგადი პრეცედენტული სამართალი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს სიცოცხლის უფლების მნიშვნელობაზე.

ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეების განხილვისას მიზანშეწონილია მოსამართლეებმა იხელმძღვანელონ სტრასბურგის სასამართლოს მრავალფეროვანი პრეცედენტული სამართლით, რომელიც უკავშირდება ქალთა მიმართ მკვლელობის შემთხვევებს, ჩადენილს გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, რაც საქმესთან მიმართებითაც უფრო რელევანტურია და ასევე წარმოაჩენს სტრასბურგის სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს მსგავსი ტიპის დანაშაულთან მიმართებით.

5.2. სასამართლოს მიერ რისკების არასათანადოდ შეფასება

საქმეთა მონიტორინგის შედეგად, საანგარიშო პერიოდში, წინა წლის მსგავსად, პრობლემური იყო ქალის მიმართ ძალადობის საქმეში სასამართლოს მიერ პატიმრობაზე უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, რის შედეგადაც ბრალდებულს მიეცა შესაძლებლობა,

66 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4681-22.

67 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1011-2022.

გაეგრძელებინა დანაშაულებრივი საქმიანობა და დაზარალებულის სიცოცხლე მოესპო. ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში გვხვდება განაჩენები, რომლებშიც სასამართლო იყენებს ზედმეტად ლმობიერ სასჯელებს, რაც ძალადობის მსხვერპლ ქალს დაუცველს ტოვებს დანაშაულის განმეორების საფრთხის წინაშე.

თელავის რაიონული სასამართლოს მიერ განხილული საქმე[68] ნათელი მაგალითია იმისა, რომ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და რისკების არასათანადოდ შეფასების გამო, სასამართლო ხელისუფლებამ ვერ შეძლო ქალის მკვლელობის თავიდან აცილება.

აღნიშნულ საქმეში, 2022 წლის 9 ოქტომბერს, ბრალდებულმა დანის გამოყენებით მრავ-ლობითი ჭრილობა მიაყენა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს, რომელიც მიყენებული დაზიანებების შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა. საქმის მასალების თანახმად, მკვლელობამდე სამი დღით ადრე, სასამართლომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეუფარდა, მაშინ როდესაც პროკურატურა პატიმრობის გამოყენებას შუამდგომლო-ბდა. ბრალდება ძალადობის და მუქარის სამ ეპიზოდს მოიცავდა, კერძოდ, 2022 წლის 3 ოქტომბერს ბრალდებული მეუღლეს დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, რომლის რეალურად განხორციელების შიშიც დაზარალებულს გაუჩნდა, ასევე, 4 აგვისტოს ეპიზოდი, როდესაც ბრალდებულმა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, აგრეთვე, 3 ოქტომბრის ეპიზოდი, როდესაც ბრალდებულმა მეუღლეს და მის მშობელს - დედას - ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

პროკურატურის პოზიციით, მაღალი იყო დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხე, რაც განპირობებული იყო ბრალდებულის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებების ხასია-თითა და დაზარალებულისადმი დამოკიდებულებით. თუმცა, სასამართლომ ბრალდებულის მიმართ გამოიყენა გირაო და დაუსაბუთებლად მიიჩნია იმის საფრთხე, რომ ბრალდებული გააგრძელებდა ძალადობას. აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებისას სასამართლომ განმარტა, რომ „დაუსაბუთებლად მიაჩნია დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებისა და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხეები, ვინაიდან ბრალდებული არ არის ნასამართლევი და წარსულში არ ჩაუდენია რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედება, მის მიმართ არასდროს გამოცემულა შემაკავებელი ორდერი. გარდა ამისა, დაზარალებულის ჩვენებებითა და სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი განცხადებით, ირკვევა, რომ ბრალდებულის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ. ბრალდებული აღიარებს ბრალად წარდგენილ ქმედებასა და სასამართლოსთვის გაურკვეველია, რაში უნდა დასჭირდეს მას მოწმეებზე ზემოქმედება“.

არსებითად მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოებმა აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული ღონისძიების შერჩევისას, საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით, სათანადოდ შეაფასონ ფემიციდის ჩადენის რისკები. ის გარემოებები, რომ ბრალდებული არ არის ნასამართლევი და დაზარალებულს ბრალდებულის მიმართ პრეტენზია არ აქვს, არ არის საკმარისი რისკების სათანადოდ შესაფასებლად. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ბრალდებულის საქმიანობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა, ქმედების სიმძიმე და ხასიათი და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები. მოცემულ შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილებულიყო ოჯახში ძალადობის დინამიკაზე, ბრალდებულის მხრიდან უკვე ჩადენილ შესაძლო სისტემატურ ძალადობრივ ქმედებებზე (რაც მოიცავდა ფიზიკური ძალადობის ფაქტებს და სიცოცხლის ხელყოფის მუქარას, რასაც დაზარალებული რეალურად აღიქვამდა) და შემდომში ძალადობის განმეორების რისკზე.

68 თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/402-22.

მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არც სამართალდამცავ უწყებას გამოუყენებია ყველა ზომა მსხვერპლის უსაფრთხოების დასაცავად. კერძოდ, არ ყოფილა გამოყენებული ელექტრონული ზედამხედველობის შესაძლებლობა.

ამდენად, სასამართლოს, ისევე როგორც საგამოძიებო ორგანოს, უფრო სიღრმისეულად უნდა ემსჯელა ბრალდებულის მხრიდან დაზარალებულების მიმართ ძალადობრივი ქმედების განმეორების, მათ შორის, ფემიციდის განხორციელების რისკებზე.

სასამართლოს მიერ რისკების არათანადოდ შეფასებამ კიდევ ერთი ქალის სიცოცხლე ვერ დაიცვა. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში[69] ბრალდებულმა ყოფილი მეუღლე იმიტომ მოკლა, რომ მან უარი უთხრა შერიგებასა და თანაცხოვრების ერთად გაგრძელებაზე. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, დაზარალებულს ბრალდებული ეუბნებოდა, რომ იგი „მისი ქალი'' იყო. შესაბამისად, უნდა სცოდნოდა სად ცხოვრობდა, ვინ მიდიოდა მასთან სტუმრად, ვისთან მეგობრობდა. ბრალდებული მიიჩნევდა, რომ რადგან დაზარალებული მისი ყოფილი ცოლი იყო, მის შესახებ ყველაფერი უნდა სცოდნოდა, რადგან **„ქალი იყო და ყურადღება უნდა მიექცია მისთვის“.**

ფემიციდის შემთხვევამდე, ბრალდებულმა არაერთგზის მიმართა დაზარალებულის მიმართ ძალადობას, რასთან დაკავშირებითაც სასამართლოში სამი სისხლის სამართლის საქმე განიხილეს. ამასთანავე, ბრალდებული 2015 წელს გასამართლებული იყო პირველი მეუღლის მიმართ ჩადენილი ძალადობის გამო. მიუხედავად ზემოხსენებული გარემოებებისა, 2021 წლის 16 აგვისტოს განაჩენით, სასამართლომ ბრალდებულის მიმართ გამოიყენა შეღავათი, რაც გამოიხატა მის მიმართ დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლაში. მართალია, სასამართლომ პირობითი მსჯავრის მოხდის პერიოდში ბრალდებულს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსების გავლა დაავალა, თუმცა მიმდინარე საქმის მასალებიდან არ ჩანს, გადიოდა თუ არა იგი ამ კურსს.[70] დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ განაჩენი სასჯელის ნაწილში გაასაჩივრა პროკურატურამ, თუმცა, სამწუხაროდ, წარუმატებლად, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომაც მიიჩნია, რომ ბრალდებულისთვის შეფარდებული სასჯელი (2 წლით თავისუფლების აღკვეთა, აქედან 1 წელი ჩაითვალოს პირობით) სრულად შეესაბამებოდა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, ხასიათს, ხარისხს და მსჯავრდებულის პიროვნებას და მსჯავრდებულისთვის საუარესო ცვლილების შეტანის საფუძველი არ არსებობდა.

საგულისხმოა, რომ პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ, პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში, ბრალდებულმა დაზარალებულის მიმართ ჩაიდინა უფრო მძიმე დანაშაული - განზრახ მკვლელობა გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით, არაერთგზის. ამასთანავე, მათი საერთო არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით.

ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეშიც[71], 2020 წელს ბრალდებულის წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენის მიღების დროს სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა ჩათვალა პირობით, რამაც ვერ შეასრულა დანაშაულის პრევენციის სასჯელის მიზანი. ამ საქმეში ბრალდებულმა განზრახ მოკვლის მიზნით, განსაკუთრებული სისასტიკით, დანის

69 ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მიერ განხილული საქმე №356/22.

70 ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსების გავლა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, მისი ძირითადი მიზანი ძალადობის განმეორების პრევენცია და მსხვერპლთა დაცვაა.

71 ახალციხის რაიონული სასამართლო საქმე №1/217-22.

გამოყენებით თექვსმეტი ჭრილობა მიაყენა მეუღლეს, **გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, სტერეოტიპული შეხედულებების, ასევე მესაკუთრული დამოკიდებულების გამო, რომ „მამაკაცი არის ოჯახის უფროსი, ქალი უნდა ემორჩილებოდეს მამაკაცს, რადგან არაფერს წარმოადგენს, ქალს თანხმობის გარეშე არ აქვს სოციალური ქსელის, სამსახურის, სახლიდან გასვლის და ტანსაცმლის არჩევის უფლება".**

ბრალდებული, 2020 წელს, დაზარალებულის მიმართ განხორციელებული ოჯახში ძალადობისა და სიცოცხლის მოსპობის მუქარის 2 ეპიზოდის გამო, დამნაშავედ ცნეს. სასამართლომ, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულმა აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, ბრალდებულს სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 6 თვის ვადით, რაც ჩაუთვალა პირობით. სასამართლომ მიიჩნია, რომ თავისუფლების აღკვეთის პირობით ჩათვლა გახდებოდა მომავალში მსჯავრდებულის საზოგადოებაში უსაფრთხო ინტეგრაციის საფუძველი და იქნებოდა დამაფიქრებელი მისთვის, ჩადენილი ქმედების ხასიათის, საზოგადოებრივი საშიშროების, გამოწვეული შედეგის სიმძიმის უკეთ გასაცნობიერებლად, და ბოლოს, შეამცირებდა ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა სამართლიანობის აღდგენას.

აღნიშნულ საქმეშიც, მისასალმებელია, რომ განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა და მოითხოვა ბრალდებულისთვის დანიშნული სასჯელის დამძიმება და მის პირობით ჩათვლაზე უარის თქმა. თუმცა სააპელაციო სასამართლოს საჩივარი არ დაუკმაყოფილებია და დანიშნული სასჯელი სამართლიანად და კანონიერად მიიჩნია. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მსჯავრდებულისთვის შეფარდებული სასჯელი ხელს შეუწყობდა სასჯელის მიზნების განხორციელებას და გაიმეორა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ წარმოდგენილი დასაბუთება.

ლმობიერი სასჯელი გამოიყენა თბილისის სააპელაციო სასამართლომ კიდევ ერთ საქმეში,[72] სადაც ბრალდებული დამნაშავედ ცნეს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1 115-ე[73] და 11^1 151-ე[74] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. სასამართლომ ბრალდებულს დანაშაულისათვის ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად.

მოცემულ საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურამ განაჩენი სასჯელის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა, ორივე ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ დანიშნული სასჯელი მსჯავრდებულის პიროვნებისა და ჩადენილი დანაშაულის პროპორციული იყო. სასამართლოებმა გაითვალისწინეს 11^1 და 115-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სანქციის ფარგლები, შემამსუბუქებელი გარემოებები, მათ შორის ის, რომ მსჯავრდებული არ იყო ნასამართლევი, ასევე მისი ქცევა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, რითაც მიაღწია დაზარალებულებთან შერიგებას და ყოველივე ამის საფუძველზე, ორივე ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ დანიშნული სასჯელი სამართლიანი იყო და საზოგადოებისგან ბრალდებულის სრული იზოლაციის გარეშეც უზრუნველყოფდა სასჯელის მიზნების განხორციელებას.

72 თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმე №1ბ/757-22.

73 ოჯახის წევრის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა, მსხვერპლისადმი მისი პატივის და ღირსების სისტემატური დამცირებით, გენდერის ნიშნით.

74 ოჯახის წევრის (მამის) მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის შესრულების საფუძვლიანი შიში.

სასამართლოს სათანადოდ არ შეუფასებია მსჯავრდებულის პიროვნება და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი. კერძოდ, ის გარემოება, რომ მას ბრალი წარდგენილი ჰქონდა ოჯახის წევრების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობრივ ქმედებებში - მეუღლის თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანასა და მამის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარაში; აგრეთვე არ შეფასებულა ჯეროვნად ძალადობრივი ქმედების განმეორების რისკები. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, სასჯელის ერთ-ერთი მიზანია მსჯავრდებულის იზოლირება იმ ვადით, რომელიც მომავალში უზრუნველყოფს დანაშაულის განმეორების თავიდან აცილებას. პრევენცია, რესოციალიზაციასა და სამართლიანობის აღდგენასთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფემიციდის წინააღმდეგ ბრძოლაში. შესაბამისად, მსგავსი ხასიათის დამნაშავეთა მიმართ, შემდგომში ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფოს აუცილებელია ჰქონდეს მკაცრი პოლიტიკა.

5.3. სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 531-ე მუხლის გამოყენება და სასჯელის დამძიმება გენდერის ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე

კვლავ პრობლემად რჩება სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 531 მუხლის გამოყენება. ამ მუხლის პირველი ნაწილით, გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელი სულ მცირე, ერთი წლით უნდა აღემატებოდეს ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ზომას. სისხლის სამართლის კოდექსის 53^1 მუხლის მეოთხე ნაწილით, გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელი ერთი წლით არ მკაცრდება, თუკი გენდერული ნიშანი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლისათვის დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარის აუცილებელი ელემენტია. შესაბამისად, სანქციის მინიმალურ ზომასთან შედარებით ერთი წლით არ გამკაცრდება სასჯელი, როდესაც პროკურატურა სასამართლოში საქმეს წარმართავს იმგვარი ბრალის დადგენილებით, რომლითაც გენდერის ნიშანი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც კვალიფიკაციაში განსაზღვრული არ არის გენდერის ნიშანი, და მოსამართლე თავად ადგენს გენდერულ მოტივს, ის ვალდებულია, სისხლის სამართლის კოდექსის 53^1 მუხლის გამოყენებით სასჯელის მინიმალურ ზომაზე ერთი წლით მეტი ხანგრძლივობის თავისუფლების აღკვეთა გამოიყენოს.

თუმცა, საანგარიშო პერიოდში გვხვდება შემთხვევები, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ იკვეთებოდა დანაშაულებრივი ქმედების გენდერის ნიშნით ჩადენა, სასამართლომ გენდერის ნიშანზე არ იმსჯელა და სასჯელის შეფარდებისას 53^1 მუხლით არ იხელმძღვანელა. ამდენად, გამოწვევაა სასამართლოს მიერ მსხვერპლის გენდერის მიმართ შეუწყნარებლობის გამო სასჯელის დამძიმება, როდესაც ეს ნიშანი არ იყო ქმედების მაკვალიფიცირებელი გარემოება, თუმცა საქმის მასალებით იკვეთებოდა დანაშაულის გენდერული მოტივაცია. თელავის რაიონულ სასამართლოს, ერთ-ერთ საქმეში,[75] სსკ-ს 53^1 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შეეძლო გენდერული მოტივით დანაშაულის ჩადენა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიეჩნია, ვინაიდან გენდერის ნიშანი საქმეზე არ ყოფილა მაკვალიფიცირებელი გარემოება. თუმცა, ამ საქმეში სასამართლომ, ისევე როგორც პროკურატურამ, გენდერის ნიშანი

75 თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/77-22.

ვერ დაინახა, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულის ჩვენებით, დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი მიზეზი ეჭვიანობა იყო.

2023 წლის 19 აპრილის განაჩენით, თელავის რაიონულმა სასამართლომ, განხილულ კიდევ ერთ საქმეში[76] ბრალდებული დამნაშავედ ცნო ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობაში და სასჯელის სახედ და ზომად 18 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებასთან დაკავშირებით, სასამართლომ განაცხადა, რომ საქმის მასალების მიხედვით, ბრალდებულს დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია. სსკ-ს 53[1] მე-2 მუხლის თანახმად, დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა. 11[1] მუხლის შენიშვნაში, განმარტებულია, თუ ვინ მიიჩნევა ამ კოდექსის მიზნებისთვის ოჯახის წევრად. ჩამონათვალს შორის არის არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირიც. შესაბამისად, სასამართლომ, როდესაც განაცხადა, რომ ბრალდებულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია, მიუხედავად იმისა, რომ წარდგენილ ბრალდებაშიც გამოკვეთილი იყო, რომ დანაშაული ჩადენილია ოჯახის წევრის მიმართ, არ მიიღო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში[77] ბრალდების მხარემ დანაშაულის ჩადენის მოტივად გენდერული იდენტობის შეუწყნარებლობა მიუთითა. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ბრალდებულმა ახლად გაცნობილი დაზარალებული სახლში მიიყვანა, როდესაც ერთმანეთს მოფერება დაუწყეს, დაზარალებულმა უთხრა, რომ ის ტრანსგენდერი იყო. ამის გამო გაღიზიანებულმა ბრალდებულმა დაზარალებულს დანის გამოყენებით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და განსაკუთრებული სისასტიკით მოკლა. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი არცერთი პირდაპირი მტკიცებულებით არ დასტურდებოდა ქმედების ჩადენა იმ მოტივით, რომ ბრალდებულს დაზარალებული ტრანსგენდერი ეგონა. ბრალდებულის მიერ ექსპერტთან გაკეთებული ორაზროვანი განმარტება, რომ დაზარალებული თითქოსდა „ტრანსი" იყო, სასამართლოს მოსაზრებით, საფუძვლად ვერ დაედებოდა მის მიმართ ამ დამამძიმებელი გარემოების შერაცხვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საყურადღებოა, რომ გენდერული, ისევე როგორც შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი სხვა დანაშაული, განეკუთვნება დანაშაულის სუბიექტურ მხარეს. ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად აღიქვამს დამნაშავე დაზარალებულს კონკრეტული ჯგუფის წევრად. ის გარემოება, რომ დაზარალებული არ არის ამ ჯგუფის წევრი, არ არის გადამწყვეტი გარემოება ქმედებაში შეუწყნარებლობის მოტივის გამოსარიცხად. მთავარია, დამნაშავე, თუნდაც შეცდომით აღიქვამდეს დაზარალებულს კონკრეტული ჯგუფის წევრად, რომლის მიმართაც აქვს შეუწყნარებლობა. შესაბამისად, გამომდინარე იქედან, რომ მოტივი დანაშაულის სუბიექტურ მხარეს წარმოადგენს და ხშირად მხოლოდ ბრალდებულმა იცის, თუ რა მოტივით სჩადის დანაშაულს, მნიშვნელოვანია, ფემიციდის დანაშაულის სპეციფიკის გათვალისწინებით, ბრალდებულის აღიარებას მოტივის თაობაზე მნიშვნელობა მიენიჭოს საქმის დისკრიმინაციულ დანაშაულად კვალიფიცირებისთვის.

ამდენად, ზემოხსენებულ საქმეში სასამართლოს შეეძლო გენდერული შეუწყნარებლობის მოტივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიეჩნია, თუმცა სასამართლომ ამისგან თავი შეიკავა.

76 თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/402-22.

77 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/7108-22.

6. გამამართლებელი განაჩენები - დაზარალებულის სათანადო მხარდაჭერის მნიშვნელობა

საანგარიშო პერიოდში შესაძლო ფემიციდის მცდელობის რამდენიმე საქმეში, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობის საქმეებში,[78] პრობლემურად გამოიკვეთა საქმის სასამართლოში განხილვისას დაზარალებულების მიერ ოჯახის წევრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებით სარგებლობა, ან იმგვარი ჩვენების მიცემა, რომელიც მიზნად ისახავდა ბრალდებულის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას. წინამდებარე თავში ქვემოთ განხილული იქნება განსაკუთრებით პრობლემური შემთხვევები.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში,[79] მეუღლისა და მაზლის მიერ მიყენებული სისტემატური სიტყვიერი შეურაცხყოფის, ფიზიკური ძალადობების, მუქარისა და დამცირების შედეგად, დაზარალებულმა თავის ჩამოხრჩობის გზით თვითმკვლელობა სცადა. მას შემდეგ, რაც საგამოძიებო უწყებამ დაზარალებულის გამოკითხვის შედეგად მოიპოვა ინფორმაცია საქმეში არსებულ გენდერულ ნიშანთან დაკავშირებით, კვალიფიკაცია მოახდინა სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა'' ქვეპუნქტით, რომელიც წარმოადგენს სპეციალურ ნორმას ამავე მუხლის 1-ელ ნაწილთან მიმართებით და ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გენდერის ნიშნით თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანისათვის.

საქმის არსებითი განხილვისას დაზარალებულმა უარი განაცხადა ქმრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. რაც შეეხება მაზლის ძალადობასა და მუქარას, მან სასამართლოს განუცხადა, რომ ამგვარ დანაშაულებრივ ქმედებას ადგილი არ ჰქონია, ხოლო პოლიციის წინაშე მაზლის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა იმით გაამართლა, რომ ეპილეფსიით არის დაავადებული და მახსოვრობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. ამდენად, დაზარალებულმა სასამართლოს წინაშე უარყო მის მიმართ ძალადობრივი ქმედების ჩადენა, რამაც დიდწილად განაპირობა საქმეზე გამამართლებელი განაჩენის დადგომა.

უფრო მეტიც, ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში[80], დაზარალებულმა დამნაშავის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მიზნით განაცხადა, რომ თვითდაზიანება მიიყენა და დანა მუცელში თვითონ ჩაირტყა. აღნიშნულ საქმეში, ბრალდების თანახმად, ნათესავის ნიშნობის ცერემონიის მოსამზადებლად წასვლასთან დაკავშირებით მომხდარი შელაპარაკების დროს, ბრალდებულმა დანა ორჯერ დაარტყა თავის მეუღლეს, რითაც მიაყენა სიცოცხლისთვის სახიფათო, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. სასამართლო სხდომაზე ბრალდებულის შვილმა უარი განაცხადა ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე, დაზარალებულმა კი განმარტა, რომ მეუღლესთან შელაპარაკება

78 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1903-22, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საქმე №ბ-624-2022, სამტრედიის რაიონული სასამართლოს საქმე №1/89-22, ბოლნისის რაიონული სასამართლოს საქმე №1/17-23, ბოლნისის რაიონული სასამართლოს საქმე №1/305-22, გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/170-20.

79 ბოლნისის რაიონული სასამართლოს საქმე №1/17-23.

80 ბოლნისის რაიონული სასამართლოს საქმე №1/305-22.

მოუვიდა, რის გამოც მდგომარეობიდან გამოვიდა, მაგიდაზე აღებული დანა აიღო და მუცელში ჩაირტყა. კითხვაზე, პასუხად, თუ რატომ მისცა მისმა ქალიშვილმა გამოძიებას ჩვენება, თითქოს მამამ დაარტყა დანა, უპასუხა, რომ არ იცის, ალბათ იმ მომენტს შეესწრო, როცა ბრალდებულს მისთვის წართმეული დანა ეჭირა ხელში და ივარაუდა, რომ სწორედ მან დაჭრა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში სამართალდამცავ უწყებას არ ჩაუტარებია ყველა საგამოძიებო მოქმედება, მაგალითად, ფარული საგამოძიებო მოქმედება, რაც შესაძლოა გადამწყვეტი ყოფილიყო ბრალდების დასადასტურებლად, დაზარალებულის პოზიციის მიუხედავად. საქმეზე სასამართლომ განაცხადა, რომ მის ხელთ არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით, მოკლებულია შესაძლებლობას უტყუარად დაადგინოს, რომ დაზარალებულს დაზიანება ბრალდებულმა მიაყენა და საქმეზე დადგა გამამართლებელი განაჩენი.

გორის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში[81] ა.მ.-ს ბრალი ედებოდა განზრახ მკვლელობის მცდელობაში, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებაში, ოჯახის წევრის მიმართ. ბრალდების თანახმად, ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა, ურთიერთშელაპარაკების დროს, თანნაქონი დანა ორჯერ დაარტყა მეუღლეს - ბარძაყისა და თეძოს არეში, თუმცა დაზარალებულისა და მისი დედის აქტიური წინააღმდეგობის შედეგად, მან ვერ შეძლო დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანა; როდესაც ა.მ. ცულის ასაღებად გავიდა, დაზარალებულმა ოთახის კარი ჩაკეტა და მოძალადემ ოთახში შესვლა ვეღარ შეძლო. საქმის არსებითი განხილვისას დაზარალებულმა სასამართლოს იმგვარი ჩვენება მისცა, რომელიც მიზნად ისახავდა ბრალდებულის გათავისუფლებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. მისი განცხადებით, ბრალდებული ოთახიდან ცულის ასაღებად არ გასულა და შემდეგ ძალის გამოყენებით შესვლა არ უცდია. მისივე თქმით, მართალია, ბრალდებულმა რამდენჯერმე დაუყვირა, მოგკლავო, მაგრამ ეს არყის მიცემაზე უარით იყო გამოწვეული და არა მისი მოკვლის რეალური განზრახვით. დაზარალებულის კატეგორიულმა პოზიციამ, რომ ბრალდებულს მისი მოკვლის განზრახვა არ ჰქონია, გავლენა იქონია სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და ბრალდებული დამნაშავედ იქნა ცნობილი არა განზრახ მკვლელობის მცდელობაში, არამედ სსკ-ს 11[1] 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ'' ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში, რაც გულისხმობს ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას, ოჯახის წევრის მიმართ.

სახელმწიფოს მიერ ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის თავიდან არიდებისთვის, კრიტიკულად მნიშვნელოვანია როგორც დაზარალებულთა ინფორმირებულობა ქვეყანაში არსებული დაცვისა და დახმარების მექანიზმების შესახებ, ისე მათი მხარდაჭერა და გაძლიერება სისხლის სამართლის მთელ პროცესში.

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ საქმეებში ფაქტობრივად არ გვხვდება ინფორმაცია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობასთან დაკავშირებით. საქართველოს პროკურატურის სისტემაში მოქმედი მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა სისხლის სამართლის საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით დაზარალებულისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება. ამდენად, გენდერული ნიშნით გამოწვეული ძალადობრივი დანაშაულის დაზარალებულების გასაძლიერებლად ამ რგოლის ჩართულობა მეტად მნიშვნელოვანია.

81 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/170-20.

დასკვნა

2022 წელს მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზი აჩვენებს, რომ ფემიციდის საქმეებზე მართლმსაჯულების აღსრულების მიმართულებით, პროგრესთან ერთად, არაერთი გამოწვევა რჩება.

მისასალმებელია, რომ საანგარიშო პერიოდში გაიზარდა ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეებზე გენდერის ნიშნის გამოკვეთის მაჩვენებელი. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, რიგ საქმეებში კვლავ პრობლემურია გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაულის სახელდება, კერძოდ, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც გამომძიებლები ვიწროდ განმარტავდნენ გენდერის კონცეფციას და საქმეებს არ განიხილავდნენ გენდერული ხედვით, რაც საბოლოოდ გავლენას ახდენდა კვალიფიკაციაზე.

მონიტორინგის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ პროკურატურას არაერთგვაროვანი პრაქტიკა აქვს იმ მცირეწლოვანი თუ არასრულწლოვანი ბავშვების დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით, რომლებიც შეესწრნენ ფემიციდის/ფემიციდის მცდელობას ან გაიგონეს მსხვერპლის ხმა. მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ 4 საქმეში პროკურატურამ დაზარალებულად ცნო არასრულწლოვნები, ხოლო 4 საქმეში მიუხედავად იმისა, რომ ფემიციდის მცდელობა დაზარალებულის არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით განხორციელდა, პროკურატურამ არასრულწლოვნები არ ცნო დაზარალებულად.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ გაუმჯობესდა სასამართლოების გამოტანილ განაჩენებში ქმედების გენდერის ნიშნით ჩადენის დასაბუთება. თუმცა მოსამართლეებს ერთმანეთისგან განსხვავებულად ესმით გენდერული ნიშნის შინაარსი და რიგ შემთხვევებში მოსამართლეები მას ვიწროდ განმარტავენ.

კვლავ სამწუხარო პრაქტიკად რჩება სასამართლოს მიერ რისკების არასათანადო შეფასება და აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეფარდებული მოძალადის მიერ უფრო მძიმე - ფემიციდის დანაშაულის ჩადენა. ასევე, სასამართლოს მიერ მსჯავრდებულის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენება, რამაც ვერ შეასრულა დანაშაულის პრევენციის სასჯელის მიზანი.

2022 წელს განსაკუთრებით პრობლემური იყო შესაძლო ფემიციდის მცდელობის შემთხვევებზე დაზარალებულების მიერ ჩვენებაზე უარის თქმა ან იმგვარი ჩვენების მიცემა, რაც ბრალდებულისთვის პასუხისმგებლობის არიდებას ისახავდა მიზნად. რაც, ხშირ შემთხვევაში ხელს უშლიდა მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებას, აღნიშნულმა კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩინა ფემიციდის მცდელობის საქმეებში მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორის პრიორიტეტულად ჩართულობის და დაზარალებული ქალების სათანადო ფსიქოემოციური მხარდაჭერის აუცილებლობა.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

კრიტიკულად გააანალიზოს პრევენციის არსებული სისტემა ქალთა გენდერულად მოტივირებული მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის საქმეებთან დაკავშირებით და საკვანძო უწყებების, მათ შორის, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროების მონაწილეობით იმუშაოს პრევენციის სისტემის დახვეწაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

1. საქმეზე სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის განსაზღვრის მიზნით, უზრუნველყოს საქმეთა გენდერული პერსპექტივით შესწავლა და გენდერის კონცეფციის ფართოდ განმარტება, მათ შორის, სექს-მუშაკის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებისას;
2. უზრუნველყოს გამომძიებელთა სისტემატურად გადამზადება გენდერულ მოტივთან დაკავშირებით ქალთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის სისხლის სამართლის საქმეების ეფექტიანად გამოსაძიებლად;
3. გამოძიება წარიმართოს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებების, მათ შორის ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებით, რათა დაზარალებულის მიერ სასამართლოს წინაშე ჩვენებაზე უარის თქმის შემთხვევაში, არსებობდეს საკმარისი მტკიცებულებები;
4. საპროცესო წარმომადგენლისა და ფსიქოლოგის მონაწილეობით, უზრუნველყოს არასრულწლოვნისაგან ხელსაყრელი ფორმით ინფორმაციის მიღება;
5. დაზარალებულის ავადმყოფობის ისტორია სამკურნალო დაწესებულებიდან ამოღებულ იქნეს სასამართლოს განჩინებით;
6. თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის საქმეში, როდესაც აშკარად იკვეთება გენდერის ნიშანი, ქმედების კვალიფიკაცია მოხდეს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის სპეციალური ნაწილით.

საქართველოს გენერალურ პროკურატურას:

1. საქმეზე სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის განსაზღვრის მიზნით, უზრუნველყოს საქმეთა გენდერული პერსპექტივით შესწავლა და გენდერის კონცეფციის ფართოდ განმარტება, მათ შორის, სექს-მუშაკის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებისას;
2. ფემიციდის მცდელობის საქმეებში მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში დაზარალებულთა მხარდაჭერის მიზნით, უზრუნველყოს მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორის პრიორიტეტული მონაწილეობა;

3. განაგრძოს პროკურორთა სისტემატურად გადამზადება გენდერულ მოტივთან დაკავშირებით ქალთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის სისხლის სამართლის საქმეების ეფექტიანად გამოსაძიებლად;

4. ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი პრაქტიკა, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დანაშაულის თვითმხილველი არასრულწლოვნისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების თაობაზე, მათ შორის მაშინ, როცა ბავშვი უშუალოდ არ ყოფილა დანაშაულის თვითმხილველი, თუმცა ესმოდა ძალადობის ხმები;

5. თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის საქმეში, როდესაც აშკარად იკვეთება გენდერის ნიშანი, ქმედების კვალიფიკაცია მოხდეს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის სპეციალური ნაწილით.

საერთო სასამართლოებს:

1. ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დასამკვიდრებლად უზენაესმა სასამართლომ შეიმუშაოს გენდერის ნიშნის ყოვლისმომცველი განმარტება, მათ შორის ეჭვიანობის მოტივზე აქცენტით;

2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე, მოსამართლეებმა, ძალადობის პრევენციის ხელშესაწყობად, მსჯავრდებულებს დააკისრონ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა;

3. მოსამართლეებმა ოჯახური დანაშაულისთვის მსჯავრდებულებს შეურჩიონ იმ ხანგრძლივობის და სიმკაცრის სასჯელები, რაც სათანადოდ დაიცავს დაზარალებულს ან ოჯახის სხვა წევრს დანაშაულებრივი ქმედების განმეორებისაგან/უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენისგან;

4. ოჯახში ძალადობის ან ქალის მიმართ ძალადობის საქმეებზე აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას, სასამართლომ ინდივიდუალური გარემოების გათვალისწინებით, დაადგინოს, რამდენად არსებობს დანაშაულებრივი ქმედების გაგრძელების და უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის საფრთხე;

5. საერთო სასამართლოებმა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებში აქტიურად გამოიყენონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები გენდერის მოტივის დასასაბუთებლად;

6. სასამართლოებმა აქტიურად გამოიყენონ სისხლის სამართლის კოდექსის 53^1-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ გენდერის და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ჩადენილი დანაშაული არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, მაშინ როდესაც საქმეში არსებული მტკიცებულებები ამ მოტივზე მიუთითებს და გენდერის ნიშანი არ არის მაკვალიფიცირებელი ნიშანი.

იუსტიციის უმაღლეს სკოლას:

სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მოსამართლეები გადამზადდნენ გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების იდენტიფიცირების საკითხზე.

დანართი 1: საქართველოს გენერალური პროკურატურის სტატისტიკა[82]

1. ქალთა მკვლელობა:

2022 წლის 12 თვის მონაცემებით, ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩადენილია 11 ქალის მკვლელობა. მათგან სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 10 შემთხვევაზე 10 პირის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-109-ე მუხლით. 1 ფაქტზე დევნა არ დაწყებულა, ვინაიდან დანაშაულის ჩამდენი პირი გარდაიცვალა. ამასთანავე, 6 შემთხვევაში გამოიკვეთა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი (5 ბრალდებული, 6 მსხვერპლი). ყველა ამ ფაქტზე გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფი.

დაზარალებულთა ასაკი შემდეგია: 18-დან 30 წლამდე - 3 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 5 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 1 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 2 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა ასეთია: თბილისი - 4 ქალი; კახეთი - 3 ქალი; აჭარა - 2 ქალი; შიდა ქართლი - 1 ქალი; დასავლეთ საქართველო - 1 ქალი.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, 9 შემთხვევაში მკვლელობა ჩადენილია ქმრის მიერ ცოლის მიმართ (მათ შორის, ყოფილი ცოლის მიმართ), 1 შემთხვევაში - შვილის მიერ დედის მიმართ, 1 შემთხვევაში - მამამთილის მიერ რძლის მიმართ.

2022 წლის 12 თვის მონაცემებით, **არა ოჯახური დანაშაულის ნიშნით** ჩადენილია 10 ქალის მკვლელობა. ამ შემთხვევებიდან სისხლისსამართლებრივი დაიწყო 9 შემთხვევაზე 9 პირის მიმართ: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით - 7 პირის მიმართ, სსკ-ის 108-ე მუხლით - 2 პირის მიმართ, ხოლო 1 შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენი პირი ამ ეტაპზე დაუდგენელია. ამასთანავე, 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით (მსხვერპლი 1 ქალი). ყველა ამ ფაქტზე გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფი.

დაზარალებულთა ასაკი შემდეგია: 30-დან 40 წლამდე - 2 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 3 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 2 ქალი; 60-დან 70 წლამდე - 1 ქალი, 70 წელს ზევით - 2 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა ასეთია: თბილისი - 6 ქალი; კახეთი - 2 ქალი; ქვემო ქართლი - 1 ქალი; შიდა ქართლი - 1 ქალი.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, 5 შემთხვევაში მკვლელობა ჩადენილია ნაცნობის (მეზობლის, ნათესავის) მიერ, 4 შემთხვევაში - ინტიმური პარტნიორის მხრიდან, 1 შემთხვევაში სოციალური კავშირი ამ ეტაპზე დაუდგენელია.

ოჯახური და არა ოჯახური დანაშაულის ნიშნით 1 ქალი მოკლულია 2 პირის მიერ; ამათგან, 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის

82 საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი №13/2679 18/01/2023.

კოდექსის 11[1]-109-ე მუხლით (ოჯახური დანაშაულის ნიშნით), ხოლო 1 პირის მიმართ - სსკ-ის 109-ე მუხლით (არა ოჯახური დანაშაულის ნიშნით). ორივე ბრალდებულის მიმართ დევნა დაიწყო გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით (მსხვერპლი 1 ქალი). გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფი.

დაზარალებულის ასაკი: 30-დან 40 წლამდე - 1 ქალი. დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: თბილისი - 1 ქალი.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, 1 ქალი მოკლულია შვილის და ინტიმური პარტნიორის მიერ.

2. ქალთა მკვლელობის მცდელობა:

2022 წლის 12 თვის მონაცემებით, ოჯახური დანაშაულის ნიშნით 11 პირის მიერ ჩადენილია 11 ქალის მკვლელობის მცდელობა. სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ყველა პირის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-19-109-ე მუხლით. ამათგან, 8 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით (დაზარალებული 8 ქალი), ხოლო 1 პირის მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა შეურაცხადობის გამო. ყველა ამ ფაქტზე გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფი.

დაზარალებულთა ასაკი შემდეგია: 18-დან 30 წლამდე - 2 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 7 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 1 ქალი; 70 წელს ზევით - 1 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა ასეთია: თბილისი - 2 ქალი; შიდა ქართლი - 1 ქალი; ქვემო ქართლი - 3 ქალი; სამცხე-ჯავახეთი - 1 ქალი; დასავლეთ საქართველო - 3 ქალი; აჭარა - 1 ქალი.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, მკვლელობის მცდელობა ჩადენილია 6 შემთხვევაში ქმრის მიერ ცოლის მიმართ (მათ შორის ყოფილი ცოლის მიმართ), 1 შემთხვევაში - მამის მიერ შვილის მიმართ, 1 შემთხვევაში - სიძის მიერ სიდედრის მიმართ, 2 შემთხვევაში - შვილის მიერ დედის მიმართ, 1 შემთხვევაში - მამამთილის მიერ რძლის მიმართ.

2022 წლის 12 თვის მონაცემებით, არა ოჯახური დანაშაულის ნიშნით 5 პირის მიერ ჩადენილია 7 ქალის მკვლელობის მცდელობა. სისხლისსამართლებრივი დევნა ყველა პირის მიმართ, მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით - 2 პირის მიმართ (დაზარალებული 2 ქალი), ხოლო სსკ-ის 19- 109-ე მუხლით - 3 პირის მიმართ (დაზარალებული 5 ქალი). ამათგან, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი გამოიკვეთა 1 ბრალდებულის მიმართ (დაზარალებული 1 ქალი), ხოლო 1 პირის მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა შეურაცხადობის გამო. ყველა ამ ფაქტზე გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფი.

დაზარალებულის ასაკი შემდეგია: 30-დან 40 წლამდე - 2 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 1 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 3 ქალი; 70 წელს ზევით - 1 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა ასეთია: დასავლეთ საქართველო - 1 ქალი; ქვემო ქართლი - 1 ქალი; აჭარა - 1 ქალი; თბილისი - 3 ქალი, სამცხე-ჯავახეთი - 1 ქალი.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, 6 შემთხვევაში მკვლელობის

მცდელობა ჩადენილია ნაცნობის (ნათესავის, მეზობლის) მიერ, ხოლო 1 შემთხვევაში - ინტიმური პარტნიორის მიერ.

3. ქალთა თვითმკვლელობამდე მიყვანა:

2022 წლის 12 თვის მონაცემებით, ოჯახური დანაშაულის ნიშნით 2 ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2 პირის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფი.

დაზარალებულის ასაკი : 18-დან 30 წლამდე - 1 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 1 ქალი;

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: ქვემო ქართლი - 2 ქალი;

რაც შეეხება ბრალდებულის კავშირს დაზარალებულთან, თვითმკვლელობამდე მიყვანა ორივე შემთხვევაში ჩადენილია ქმრის მიერ ცოლის მიმართ;

4. ქალთა თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა:

2022 წლის 12 თვის მონაცემებით, **ოჯახური დანაშაულის ნიშნით** 17 ქალის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 19 პირის მიმართ. ამათგან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-115-ე მუხლის პირველი ნაწილით - 4 პირის მიმართ (დაზარალებული 4 ქალი), სსკ-ის 11^1-115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით - 14 პირის მიმართ (დაზარალებული 12 ქალი), ხოლო სსკ-ის 11^1-115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით - 1 პირის მიმართ (დაზარალებული 1 ქალი). ყველა ამ ფაქტზე გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფი.

დაზარალებულთა ასაკი შემდეგია: 18 წლამდე - 4 ქალი; 18-დან 30 წლამდე - 7 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 5 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 1 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა ასეთია: თბილისი - 3 ქალი; კახეთი - 3 ქალი; დასავლეთ საქართველო - 3 ქალი; სამცხე-ჯავახეთი - 1 ქალი; შიდა ქართლი - 3 ქალი; აჭარა - 2 ქალი; ქვემო ქართლი - 2 ქალი.

რაც შეეხება ბრალდებულის კავშირს დაზარალებულთან, 10 შემთხვევაში თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა ჩადენილია ქმრის მიერ ცოლის მიმართ (მათ შორის ყოფილი ცოლის მიმართ), 4 შემთხვევაში - მამის მიერ შვილის მიმართ, 1 შემთხვევაში - დედის მიერ შვილის მიმართ, 1 შემთხვევაში - ქმრის მიერ ცოლის მიმართ და დედამთილისა და მამამთილის მიერ რძლის მიმართ, 1 შემთხვევაში - ერთიან საოჯახო მეურნეობაში მყოფი პირის მიერ.

2022 წლის 12 თვის მონაცემებით, არა ოჯახური დანაშაულის ნიშნით 2 ქალის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5 პირის მიმართ, ამათგან 4 პირის მიმართ - გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, სსკ-ის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დაზარალებული 1 ქალი), ხოლო 1 პირის მიმართ - სსკ-ის 115-ე მუხლის პირველი ნაწილით (დაზარალებული 1 ქალი).

დაზარალებულის ასაკი შემდეგია: 18 წლამდე - 1 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 1 ქალი;

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა ასეთია: შიდა ქართლი - 1 ქალი; სამეგრელო - 1 ქალი.

რაც შეეხება ბრალდებულის კავშირს დაზარალებულთან, 4 შემთხვევაში თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა ჩადენილია ნაცნობების მიერ (კოლეგები), ხოლო 1 შემთხვევაში ინტიმური პარტნიორის მიერ.

5. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია:

2022 წლის 12 თვის მონაცემებით, 1 ქალის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე, რამაც მისი სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-117-ე მუხლის მე-4 ნაწილით.

დაზარალებულის ასაკი: 30-დან 40 წლამდე - 1 ქალი;

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: კახეთი - 1 ქალი.

რაც შეეხება ბრალდებულის კავშირს დაზარალებულთან, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ჩადენილია ძმის მიერ დის მიმართ.